



გამომცემლობა „კენტავრი“ Publishing House “Kentavri”
თბილისი 2020 Tbilisi

უილიამ შექსპირი

ქარიშხალი

ინგლისურიდან თარგმნა
მანანა ანთაძემ

ექლვნება მიხეილ თუმანიშვილს

მოქმედი პირნი

ალონზო სებასტიანი	ნეაპოლის მეფე მისი ძმა
პროსპერო ანტონიო	მილანის კანონიერი მთავარი მისი ძმა, მილანის უზურპატორი მთავარი
ფერდინანდი გონზალო	ნეაპოლის მეფის ვაჟი პატიოსანი მოხუცი მრჩეველი
ედრიანი ფრანსისკო	სამეფო კარის დიდებული სამეფო კარის დიდებული
კალიბანი	ველური, დეფორმირებული მონა
ტრინკულო სტეფანო	მასხარა მსახურთუფროსი, ლოთი მეღვინე

გემის კაპიტანი, ბოცმანი, მეზღვაურები

მირანდა	პროსპეროს ქალიშვილი
არიელი	ეთერული სული

ირისი ცერერა იუნონა ნიმფები მომკელები	სულეები
--	---------

სხვა სულეები, რომლებიც პროსპეროს ემსახურებიან

სურათი: ზღვა, გემი; შემდეგ კუნძული.

პირველი მოქმედება

სურათი I

*გემზე ზღვაში. ქარიშხალია, ჭექა-ქუხილით.
შემოდინან გემის კაპიტანი და ბოცმანი.*

კაპიტანი
ბოცმან, -

ბოცმანი
გისმენ, კაპიტანო!

კაპიტანი
მეზღვაურებს უთხარი, სწრაფად მოუსვან!
მეჩერზე არ შევჯდეთ! დროზე, დროზე!

გადის.

შემოდინან მეზღვაურები.

ბოცმანი
ბიჭებო, მოუჩქარეთ! უფრო ცოცხლად!
მარსელი ასწიეთ, კაპიტნის სასტვენს უსმინეთ!
მიდი, უბერე ქარიშხალო, იქნებ თვითონვე დალეწო
შენი თავი!

5

*შემოდინან ალონზო, სებასტიანი, ანტონიო,
ფერდინანდი, გონზალო და სხვები.*

ალონზო
ბოცმან, აბა თქვენ იცით! კაპიტანი სად არის?
კაცურად გაუძელოთ!

10

ბოცმანი
ქვევით ჩადით! გთხოვთ!

ალონზო
კაპიტანი სად არის-მეთქი!

ბოცმანი

ხმა არ გესმით?! ხელს გვიშლით! კაიუტებში დარჩით!
გაგვეცალეთ, ქარიშხალს ნუ ემატებით, ესეც გვეყოფა!

გონზალო

კარგი, დაწყნარდი.

15

ბოცმანი

ჯერ ზღვა დაწყნარდეს! წადით! ხედავთ, ამხელა წყალი რა დღეშია!
ამისთვის სულერთია, მეფე ხარ თუ ვინ! კაიუტაში, სასწრაფოდ!
ჩუმად ისხედით! აღარ დაგინახოთ!

გონზალო

კარგი. მაგრამ, გახსოვდეს, გემზე
ვინ გყავს!

20

ბოცმანი

ისეთი არავინ, ჩემს თავზე მეტად მიყვარდეს.
თქვენ ხომ მრჩეველი ხართ. ურჩიეთ სტიქიას, თუ მოგისმენთ,
ნუ ღელავს, დამშვიდდეს და ჩვენ ხელს არ გავანძრევთ!
რა შეგიძლიათ, გვიჩვენეთ! არადა,
მადლობა თქვით, აქამდე მოაღწიეთ, ცოცხალი ხართ!
ახლა კაიუტაში დაელოდეთ, ბედმა თუ გაგწირათ და რამე ხდება.
მიდით, ბიჭებო, მიდით! კარგია, მაგრამ უფრო სწრაფად მოუსვით!
მომორდით-მეთქი, აქედან !

25

გადის.

გონზალო

როგორ დამაწყნარა ამ ყმაწვილმა! არა, არა, რატომღაც მგონია,
ამას წყალში სიკვდილი არ უწერია. სახრჩობელა ელოდება!
ღმერთო, ბედისწერა არ შეუცვალაო! თავისი მიიღოს. მისი უბედურების
თოკი ჩვენთვის ხავსი იქნება, რომელსაც მოვეჭიდებით! მაგრამ,
თუ ჩამოხრჩობა არ არის მაგისი ხვედრი!? მაშინ მართლა
ცუდად ყოფილა საქმე!

30

გადიან.

შემოდის ბოცმანი.

ბოცმანი

მთავარი ანმა! სწრაფად! კიდეც, კიდეც! ბოლომდე!
ახლა ქვედა იალქანიც, გროტ-ანმაზე! /ყვირილის ხმა/
ჯანდაბა ამათ! რას ღრიალებენ, ქარიშხალი გადაფარეს!
ბრძანებები არ მესმის!

35

შემოდის სებასტიანი, ანტონიო და გონზალო.

ისევ მოხვედით? რატომ, გამაგებინეთ! დავეყაროთ ყველაფერი
და ჩავიძიროთ? ეს გინდათ?

40

სებასტიანი

ჯანდაბა და ჭირი შენ! ნუ დაგვჩხავი თავზე, ენამ არ გიცივლოს!
ვინ ყოფილხარ, შე ქოფაკო!

ბოცმანი

მაშინ თქვენ იმუშავეთ!

ანტონიო

მორჩი, რა დღეში ხარ! გაგიჟდი?! რა ამბავი ატეხე!
ჩვენზე მეტად შენ გემინია თურმე ქარიშხლის. გული გისკდება,
არ დაიხრჩო!

45

გონზალო

გარწმუნებთ, ეგ არ დაიხრჩობა, თუნდაც კაკლის ნაჭუჭივით
სიფრიფანა, ან ძირგახვრეტილ გემში იჯდეს, რომელსაც
ისევე უნდა ენდო, როგორც მემავს.

ბოცმანი

გემი შემოაბრუნეთ! აქეთ, აქეთ, შუა ზღვისკენ!
ორივე აფრა მიაშველეთ! ნაპირს მოვშორდეთ!
შემორბიან გალუმპული მეზღვაურები.

50

მეზღვაურები

გემი იძირება! ვილოცოთ! ვილოცოთ! მორჩა! გათავდა!
მეზღვაურები გადიან.

ბოცმანი

რაა?! და უკვე ვკვდებით?!

გონზალო

მეფე ლოცულობს, უფლისწულიც. იმათთან ვიყოთ!
ერთი გვექონია, ყველას ბედი!

სებასტიანი

ლამის გავცოფდე!

55

ანტონიო

ჩვენი სიცოცხლე ასეთ ლოთებს როგორ მივანდეთ!
უვარგისები! უქნარები! მართლა ღირსია,
ტალღებმა ხეხონ!

გონზალო

არა, მაგას ჩამოახრჩობენ,
თუნდ დაიფიცოს ზღვის ყველა წვეთმა საპირისპირო
და ჩასაყლაპად დაუღოს პირი!

მოისმის შეძახილები

„ღმერთო, გვიშველე!“ 60
„გემი გადასკდა!“ „ველარ გნახავ, ცოლო, შვილებო!“
„მშვიდობით, ძმაო!“ „დაილეწა! სულ დაიშალა!“
ბოცმანი გადის.

ანტონიო

მეფესთან ვიყოთ, ერთად მოგვკვდეთ!
გადის.

სეზასტიანი

გამოვეთხოვოთ!
გადის.

გონზალო

ამ უზარმაზარ წყალს, სიამოვნებით გავცვლიდი
ერთ პაწაწინა მიწის ნაგლეჯში! იყოს, ეკალ-ბარდიანი,
უნაყოფო, სულერთია. რაც გვიწერია, არ აგვცდება, მაგრამ 65
მინდოდა, ხმელეთზე, მშრალად მოვმკვდარიყავი!
გადის.

სურათი II

*კუნძული. პროსპეროს გამოქვაბულთან.
შემოდინ პროსპერო და მირანდა*

მირანდა

მამა, თუ შენი ჯადოქრობით ააზვირთე
ეს ოკეანე, გეხვეწები, შენვე დააცხრე!
ზეცა აპირებს გადმოგვასხას მდულარე კუპრი.
კიდევ კარგი რომ, ცას სწვდებიან დიდი ტალღები
და ცეცხლს აქრობენ. ეს რა ვნახე, გული მეტკინა. 5
ხალხი დაიხრჩო! პაწაწინა, ლამაზი გემი
(ალბათ მგზავრებიც დიდებული ეყოლებოდა),
სულ ნაფოტებად დაიშალა! მეც მათი ტანჯვით
ვიტანჯებოდი! საცოდავები! აღარ არიან!
რომ მქონებოდა ყოვლისშემძლე ღმერთივით ძალა, 10
ზღვას ჩავძირავდი სულ, სულ დაბლა, მიწისქვეშეთში,
გემს დავიცავდი! უბედურ ხალხს გადავარჩენდი!
არ გავწირავდი საწყალ სულელებს!

პროსპერო

გთხოვ, ნუ განიცდი!

კარგი, დაწყნარდი! დატანჯულ გულს გააგებინე,
არ დაღუპულან.

მირანდა

ეს რა დღეა!

პროსპერო

გადარჩნენ-მეთქი!

15

ეს ყველაფერი, გავაკეთე, შენი გულისთვის!
(შენთვის ძვირფასო! ერთადერთო, ჩემო გოგონა!)
ვინა ხარ, რა ხარ, არც კი იცი. ვერ წარმოიდგენ
მე საიდან ვარ! რა გგონია, რომ მე, პროსპეროს,
რასაც აქ ხედავ, ამის გარდა, არაფერი მაქვს
და სულ ეს არის მამაშენი?!

20

მირანდა

არ ვიცი, რადგან,

არ მიფიქრია არასოდეს!

პროსპერო

ჰოდა, დრო არის,

უნდა გაიმბო მამაშენზე. მოდი, მიშველე,
ეს მაგიური მოსასხამი მომხსენი. ასე!

მოსასხამს ძირს დადებს.

მისნობის ძალამ დაისვენოს! აღარ იტყვოს.

25

გემის დაღუპვა, ჩემი გოგო ასე რომ შეძრა,
მოჩვენებითი სანახავი იყო თვალისთვის.
ეგ ყველაფერი, ვით ზმანება, გავითამაშე.
მეხმარებოდა გრძნეულება. სინამდვილეში,
არცერთ სულიერს, არაფერი არ დაემართა.
ვიცი, გესმოდა, რომ ყვიროდენ სასოწარკვეთით!
თან დაინახე, ჩაიძირა, გემი მგზავრებით.
დაჯექი, მამის ამბავს გეტყვი.

30

მირანდა

ისევ იგივე.

დაიწყებ ხოლმე ასე თხრობას! როცა ამანთებ,
და ინტერესსაც გამიღვიძებ, მერე ჩერდები,
„ჯერ ადრეაო!“

35

პროსპერო

აკი გითხარი, დრო დადგა-მეთქი!

ახლა მისმინე ყურადღებით, მხოლოდ ამას გთხოვ!
ოღონდ ჯერ შენ თქვი, მაინტერესებს, გახსოვს რაიმე,

რაც ადრე იყო? რა ხდებოდა, ვიდრე კუნძულზე
დავსახლდებოდით? ალბათ არა! რადგანაც მაშინ,
არ იქნებოდი სამი წლისაც.

40

მირანდა

მერე რა, მახსოვს!

პროსპერო

ნეტავ რა გახსოვს, სად ცხოვრობდი? ვინ გყავდა გვერდით?
მოგონებებში რა შემოგრჩა, მიდი, მიაშბე,
სუყველაფერი.

მირანდა

დრო გავიდა, ძალიან ბევრი!

ბუნდოვნად ვხედავ, სიზმარივით! თანაც არ ვიცი,
იყო თუ არა! ძიძა მყავდა, იქნება ვცდები,
ოთხი, ან ხუთი ქალი მახსოვს! ჩემზე ზრუნავდნენ!

45

პროსპერო

არა, არ ცდები! მეტიც იყვნენ! ეგ როგორ გახსოვს!
საოცარია! სხვას რას ხედავ გარდასულ ჟამის
მრუმე უფსკრულში? რა ხდებოდა აქ წამოსვლამდე,
თუკი ეგ გახსოვს, გაიხსენებ მაშინ იმასაც,
ჩვენ ამ კუნძულზე როგორ მოვედით!

50

მირანდა

ეგ აღარ მახსოვს!

პროსპერო

თორმეტი წლის წინ, ჰო, მირანდა, თორმეტი წლის წინ,
მილანს მართავდა მამაშენი, დიდი მთავარი!
ძლევა მოსილი!

მირანდა

ნუთუ მამა არა ხარ ჩემი!

55

პროსპერო

უსათნოესი ქალი გყავდა, მირანდა დედა
და ის ამბობდა, რომ ნამდვილად ჩემი შვილი ხარ!
როგორც გითხარი, მამა გყავდა, მეფე მილანის.
შენ მემკვიდრე ხარ, კანონიერი!

მირანდა

ღმერთო ჩემო!
მამ აქ რა გვინდა? ამ კუნძულზე როგორ აღმოვჩნდით?
ბედის წყალობით თუ ღალატით? 60

პროსპერო

ორივე იყო!
გამოგვამევეს ჩვენ ღალატით, როგორც თვითონ თქვი!
ბედის წყალობით ახლა აქ ვართ!

მირანდა

ჩემს გამო, ალბათ,
ფიქრიც კი გულს მტკენს, რამდენი რამ, გადაიტანე.
მე სულ არ მახსოვს, არაფერი. განაგრძე მამა. 65

პროსპერო

ჩემი ღვიძლი ძმა, ანტონიო, შენთვის კი ბიძა -
(თქვი, წარმოიდგენ ძმისგან ღალატს? ეს შეიძლება?!
ყველაზე მეტად, მე შენს მერე იგი მიყვარდა!) -
ჩემს ქვეყანაში მეფედ დავსვი, მივეცი ხელში
ძალაუფლება. სამართავად ვანდე სამეფო,
რომლის ბადალი არსად იყო. მაშინ პროსპერო,
მონარქთა შორის მიჩნეული უდიდეს მთავრად,
მეცნიერების მფარველადაც იყო ცნობილი,
გამორჩეული, ღირსეული. გამოგიტყდები,
ტოლი არ მყავდა თავისუფალ ხელოვნებებში. 70
ვენდე ვერაგ ძმას. ველარ მოვწყდი მაგიურ წიგნებს,
დაფარულ სიბრძნეს. ბიძაშენი, ის მოღალატე -
მირანდა მისმენ, რას გაიმბობ? 75

მირანდა

ჰო, გულისყურით.

პროსპერო

-ძალიან სწრაფად დახელოვნდა, როგორ მოერგო
ძალაუფლება: ვინც კი მისი მამებელი
ლაქია ნახა, სუყველანი დაიხლოვა. 80
ვისაც ურჩობა შეამჩნია, არ გაიკარა.
ჩემი ერთგული მსახურები ან დაიმონა
ან მოიშორა. დაიტოვა, ვისაც მართავდა.
კარგად მოარგო გასაღები, ხალხსაც, საქმესაც. 85
უჩუმრად იქცა მეფის ტანზე ცოცვით ამოსულ,
უძლეველ სუროდ. გამომწოვა, რაც მოახერხა.
მირანდა, გესმის?

მირანდა

მესმის, მამა!

პროსპერო

არ დაგავიწყდეს:

ჩემი სურვილით ჩამოვცილდი საზრუნავს ქვეყნის (საკუთარ ნებით ავირჩიე განმარტოება), 90

იდუმალ ცოდნის სიღრმეების მსურდა ჩაწვდომა. ამით მე თვითონ, უნებლიეთ, ღვიძლი ძმის სულში, ავი ზრახვები გავაღვიძე უკიდევანო. თავისუფლებამ გამოკვება მუხანათობა. 95

კარგად იცოდა, ჩემი ნდობა უსაზღვრო იყო! რა საზომითაც მე გავეცი, ისე დაბრუნდა, მაგრამ მოვიდა ბოროტება, სიკეთის ნაცვლად. როცა მიიღო მეუფება, და თანაც სრული, 100

მაშინ ინდომა, ბევრად მეტი, ვიდრე ხელთ ჰქონდა! ჩემი ნაწილი სახელმწიფო შემოსავალიც მას მისდიოდა. არ იკმარა. მოისურვილა, კანონიერად მიეწერა, მიტაცებული. 105

შეთხზა, მოჩმახა ტყუილები ცოდვილმა კაცმა, პატივმოყვარემ! დაიჯერა ბოლოს თვითონაც, რომ ყველაფერი, თავიდანვე, მას ეკუთვნოდა, მირანდა, გესმის?

მირანდა

ყრუც რომ ვიყო, გავიგონებდი!

პროსპერო

ის ჯერ შეფარვით მოქმედებდა, მერე კი თამაშს თავი ანება და განზრახვას ფარდა ახადა: ტახტი, გვირგვინი და მეფობა სურდა მილანში. ამას წიგნებიც ეყოფაო, ჩემზე ფიქრობდა. 110

მე, მისი აზრით, არაფრისთვის აღარ ვვარგოდი. დაუკავშირდა თურმე მეფეს, ნეაპოლისას, თანამზრახველად გაიხადა. ძალაუფლების წყურვილი კლავდა. შესთავაზა მუდმივი ხარკი, ხელქვეითობა, მორჩილება. მონად აქცია თავმოყვარე ჩემი მილანი! 115

მირანდა

ო, ღმერთო ჩემო!

პროსპერო

რაც ჩაიდინა, ჯერ განსაჯე, მერე მითხარი,
ეგ ძმია ჩემი? რა ვიფიქრო?

მირანდა

ცოდვას დავიდებ,
ცუდს თუ ვიფიქრებ ბებიაზე. ხომ იცი, ხდება,
დედა კარგია - შვილი არა!

პროსპერო

როგორ მოიქცნენ! 120
მეფე ალონზოს, ნეაპოლელს, დიდი ხანია
რატომღაც ვძულვარ. მოეწონა, როგორც მილანი
მის ქვეშევრდომად, ისე ხარკი, ოღონდ არ ვიცი
რამდენს შეპირდა. და ამასთან, პირობა მისცა,
რომ მე, ოჯახით, იქაურობას მომაშორებდა, 125
მერე კი მილანს, სამართავად, მას გადასცემდა.
და გააკეთეს, ზუსტად ისე, როგორც შეთანხმდნენ:
ალონზო ჯარით, ჩუმად, ღამით, მილანს მოადგა.
კარიბჭე გახსნა ანტონიომ თავისი ხელით.
უკუნ ღამეში, იმ ბნელეთის მოციქულებმა, 130
მუხანათურად, აჩქარებით, ასე ღალატით,
გამოგვაძევეს. შენ ტიროდი!

მირანდა

ღმერთო, საწყლები!
როგორ ვტიროდი მე იქ, მაშინ, ეგ აღარ მახსოვს,
მაგრამ ხელახლა ავტირდები. ისე შევწუხდი,
ცრემლს ვერ ვიკავებ!

პროსპერო

ჯერ არ მორჩა მთელი ამბავი! 135
თუ არ მივეყვით, მოვლენების განვითარებას,
და არ გიამბე, ამ კუნძულზე როგორ აღმოვჩნდით,
ახლა რა ხდება, ვერ მიხვდები.

მირანდა

რატომ არ მოგვკლეს?
რა მიზეზია, რომ დაგვინდეს?

პროსპერო

ჰო, ქალბატონო, 140
ეგ უნდა მკითხო, ისე ვყვები! ველარ გაბედეს.
ჩემს ხალხს ვუყვარდი მეტისმეტად. თანაც უსისხლოდ,
უფრო ღამაზად, მოინდომეს ბოროტი საქმის

დაგვირგვინება. მოკლედ გეტყვი. ჯერ ნავში ჩავსვს,
ზღვაში გავედით, იქ ხომალდი ელოდებოდათ,
ძველი, დამპალი, ძირგამძვრალი. არც იალქანი, 145
და არც ნიჩბები იმას არ ჰქონდა. ვირთხებიც კი,
გაქცეულიყვნენ. ჩავყარეს და ასე დაგვტოვეს.
ჩვენს ყვირილს მხოლოდ ზღვის ღრიალი უპასუხებდა.
ქარის ქროლვაში ჩვენი ოხვრა განქარდებოდა. 150
სხვა თანაგრძნობა არ გვექნებოდა!

მირანდა

რა მძიმე ტვირთად

გეყოლებოდი!

პროსპერო

ქერუბიმი იყავი ჩემი,
ჩემი მფარველი ანგელოზი, რომელმაც მიხსნა.
იმედად მქონდა გულუბრყვილო, ნაზი ღიმილი,
როდესაც ზღვის წყალს ვამლაშებდი უილაჯობით. 155
შენ უმძიმეს ხვედრს, ბუმბულივით მიმსუბუქებდი,
ძალას მაძლევდი, ყოველივეს გავმკლავებოდი,
რაც უკვე იყო, ან, იქნებოდა.

მირანდა

აქ როგორ მოვხვდით?

პროსპერო

ასე ინება ღვთის განგებამ და ბედისწერამ!
საჭმელ-სასმელი ჩავვილაგა ერთმა კარგმა 160
ნეაპოლელმა. გონზალოა მისი სახელი.
(ამ მძიმე საჭმის შესრულება მას დაავალეს.)
დიდსულოვნება გამოიჩინა. ჩვენი მდიდრული
ტანისამოსი, თეთრეული, ბევრი სხვა ნივთი,
რაც აქამომდე გამოგვადგა, მან მოგვიტანა. 165
იცოდა ჩემი გატაცება მეცნიერებით.
გამომაცოლა თან წიგნებიც, სწორედ ისინი,
მთელ ჩემს სამეფოს რომ მერჩია.

მირანდა

ნეტავ ოდესმე,

მაგ კაცის ნახვა შემეძლება?

პროსპერო

ახლა მე ვდგები!
არა, შენ დარჩი! ზღვაოსნობა და ჭირ-ვარამი, 170

ბოლოს დასრულდა და კუნძულზე გამოვირიყეთ!
შენი აღმზრდელი მე ვიყავი. დრო ბევრი გვექონდა.
იმაზე უკეთ გამოგზარდე, ვიდრე იქ ზრდიან
მეფის ასულებს, უმეცარი პედაგოგები.

მირანდა

ზეცა სიკეთეს არ დაგივიწყებს! ისიც მითხარი, 175
(ამაზე ფიქრი არ მშორდება) რატომ ატეხე
ეს ქარიშხალი?

პროსპერო

მივადექით უკვე სხვა ამბავს.
რადაც მოაწყო დღეს განგებამ: - ეს ქალბატონი
ჩემს მხარესაა მგონი უკვე - ერთად შეკრიბა
ყველა, ვინც მიმტრო, გამოგზავნა ამ კუნძულისკენ. 180
თუ არ მატყუებს წინათგრძნობა, სწორედ ის დროა,
რომ ზენიტშია, ბედისწერის ჩემი ვარსკვლავი!
მისი გავლენა თუ გავუშვი ახლა ხელიდან,
მეორე შანსი არასოდეს არ მომეცემა.

კმარა კითხვები! დაიძინე, შენ გეძინება. 185
აი ჩათვლიმე. ვერ დაადწევ თავს ძილის ბურანს.
მირანდა იძინებს.

სად ხარ, მსახურო, მოდი ჩქარა. უკვე მზადა ვარ!
ჩემო არიელ, დროზე გამოჩნდი!
შემოდის არიელი.

არიელი

სალამი ჩემს დიდებულ ბატონს! აქ ვარ. 190
მიბრძანე, რა გსურს. ცაში ავფრინდე,
ცეცხლში შევიდე, წყალში ჩავიდე
თუ ავმხედრდე ღრუბლის ქულებზე . გემსახურება
მთელი ამალით, შენ არიელი.

პროსპერო

ჯერ მომიყევი,
როგორც გითხარი, ქარიშხალი ისე წარმართე?

არიელი

მთელი სიზუსტით. 195
მეფის გემს თავზე დავაცხერი, შემოვიარე
კიჩო, გემბანი, კაიუტები, შუა ნაწილიც.
დავექროდი, როგორც მოგიზგიზე ცეცხლის გორგალი.
გემზე ყველანი შიშით ძრწოდნენ. ვქუცმაცდებოდი,
ელმოს ნათებით ვინთებოდი, სადაც მინდოდა: 200

მარსელის თავზე, გროტანძაზე, გემსართავებზე.
შემდეგ ხელახლა ვგროვდებოდი, ვმთლიანდებოდი.
თვით იუპიტერის გაელვება, გრგვინვა - გრუხუნით,
ვერ გაუჩენდა იქ ვერავის ისეთ ჟრუანტელს.
გაკვირვებული ნეპტუნიც კი ათრთოლებულ
თავის სამკაპას ვერ აჩერებდა

205

პროსპერო

ყოჩაღ, არიელ!

აღმოჩნდა ვინმე, ერთი მაინც, ვინც შენ გაგიძლო
და შიშით გონი არ დაუბნელდა

არიელი

არა. არავინ!

შეშლილებივით, აქეთ-იქით მირბოდ-მორბოდნენ!
გაოგნებულეებს, არ ესმოდათ თუ რა ხდებოდა.
მეზღვარების გარდა, ყველა ზღვაში გადახტა!
ცეცხლმა დააფრთხო! მეფის ვაჟი, ფერდინანდი,
პირველი იყო. თმა ყალყზე ედგა. ისკუპა წყალში,
და თან ყვიროდა: „ჯოჯოხეთი ცარიელია,
ემმაკები აქ შეკრებილან!“

210

პროსპერო

ვამაყოზ შენით!

სანაპიროსთან ახლოს იყვნენ?

215

არიელი

დიახ, ძალიან.

პროსპერო

და ხომ არიან უვნებელნი?

არიელი

თმაც არ შეერხათ.

რაც ტანზე ეცვათ, ის ნახმარი ტანისამოსი
სულ განვაახლე. მოვიქეცი, როგორც მიბრძანე:
მიმოვაზნიე ჩვენს კუნძულზე მცირე ჯგუფებად.
მეფის შვილია მხოლოდ მარტო. ის ჩემი ხელით
გამოვიყვანე. მიყრუებულ ადგილას დავსვი.
ზის უცნაურად, აი ასე, გულხელდაკრევით.
გრილ სიოს ატანს ახლა ოხვრას

220

პროსპერო

და მეფის გემი?

მეზღვაურები, სხვა მგზავრები, ყველა ისინი, 225
ვინც გემზე იყო, სად არიან?

არიელი

მეფის გემი დგას
ვიწრო ყურეში, ნავსადგურში. იქ, სადაც ერთხელ,
შუალამისას გამაგზავნე, ცვარი რომ გასურდა,
ბერმუდული გლერტა ბალახის! ვერავინ ხედავს!
მეზღვაურები დავაძინე, ერთად ჩავაწყვე 230
ლიუკის თავზე რომ ჯიხური აქვთ. თან დაილაღნენ,
თან მივეშველე! ჯერ გავფანტე გემის მგზავრები!

შემდეგ შევკრიბე. ვაპოვნინე კვლავ ერთმანეთი!
ხმელთაშუა ზღვის ფლოტილიის გემზე აღმოჩნდნენ.
ნეაპოლისკენ მიცურავენ. ირწმუნებიან, 235
თავად იხილეს, მეფის გემი როგორ დაიმსხვრა
და მეფეც გაქრა.

პროსპერო

ყველაფერი, როგორც მინდოდა,
ზუსტად ისე გიკეთებია. საქმე ბევრი გვაქვს.
ნეტავ რა დროა?

არიელი

ალბათ არის ნაშუადღევი!

პროსპერო

ორი იქნება. ჰოდა ახლა, ექვს საათამდე, 240
ეს დრო ორივემ, კარგად უნდა გამოვიყენოთ.

არიელი

ისევ საქმე მაქვს? დავალება აღარ გათავდა.
ნება მომეცი, შეგახსენო, თვითონ შემპირდი,
მაგრამ რატომღაც არ ასრულებ!

პროსპერო

საყვედურს ბედავ?!
აბა მითხარი, რას მოითხოვ?

არიელი

თავისუფლებას! 245

პროსპერო

ვადაზე ადრე? ეგ აღარ თქვა!

არიელი

რატომ აღარ ვთქვა!

გთხოვ, გაიხსენო: გემსახურე, რაკი ერთგულად,
არ მოგატყუე, არ დაგზარდი, რასაც ბრძანებდი,
მუდამ უსიტყვოდ ვასრულებდი, - თვითონ მითხარი,
ერთი წლით ადრე გაგიშვებო!

პროსპერო

შენ დაგავიწყდა,

250

რა ტანჯვისაგან დაგიხსენი?

არიელი

არა.

პროსპერო

კი, დაგავიწყდა! ფიქრობ ალბათ, დიდი ამბავი,
თუ გაგაგზავნე მარილიან, შლამიან ფსკერზე,
ან გაეკიდე ჩრდილოეთის სუსხიან ქარებს,
ჩემი გულისთვის, ანდა, გაყინულ მიწის მარღვებში
რომ გაძვერი!

255

არიელი

არა, ასე მართლა არ ვფიქრობ.

პროსპერო

მაშ რას მაყვედრი, არ გრცხვენია?! ალბათ არ გახსოვს
ერთი ბოროტი ჯადოქარი, სიბერისაგან
წელში მოხრილი სიკორაქსი! ალქაჯი

არიელი

მახსოვს!

პროსპერო

არა მგონია! თქვი, სად გაჩნდა, საიდან იყო?

260

არიელი

ალჟირიდან, სერ!

პროსპერო

ჰო, ეს გახსოვს! ნუთუ ყოველთვე
არის საჭირო, მოგაგონო მთელი ამბავი,
რომელიც სწრაფად გავიწყდება. იმ სიკორაქსმა,
მჩხიბავის ძალა სიავისთვის გამოიყენა.
სწორედ ამიტომ, ალჟირიდან გამოაძევეს,

265

მაგრამ არ მოკლეს, რადგან იყო, რაღაც ისეთი,
რამაც ის იხსნა. ხომ ასეა, აბა მითხარი!

არიელი

დიახ, ასეა!

პროსპერო

ცისფერთვალემა კუდიანი, მის შვილთან ერთად,
მეზღვაურებმა აქ ჩამოსვეს. ჩემო მსახურო, 270

თვითონ ამბობდი, მისი მონა როცა იყავი,
როგორ გიჭირდა, პატიოსან, კეთილშობილ სულს,
ავი მაჩხიბის ბრძანებები გესრულებინა.
ეურჩებოდი. და ერთხელაც, გაავებულმა,
უძლიერესი მსახურების მოშველიებით, 275

მწარედ დაგსაჯა. დაგატყვევა. ფიჭვი გააპო,
მის განაპობში ჩაგაყოლა. სასტიკ ტანჯვაში
თორმეტი წელი გაატარე. ამასობაში,
შენი ალქაჯი, მოკვდა კიდეც. ამიტომ დარჩი,
სადაც დაგტოვა. სულ კვნესოდი, გაუჩერებლივ, 280
თითქოს წისქვილის ქვა ბრუნავდა. მაშინ კუნძული
(თუ კი არ ჩავთვლით კუდიანის იმ ჭორფლიან ბიჭს,
აქ რომ ეყოლა, ნაბიჭვარი) უკაცრიელი
იყო ნამდვილად.

არიელი

კალიზანი მისი შვილია!

პროსპერო

უმაქნისია, ასე ვიტყვი, ეგ კალიზანი, 285
მსახური არის თუმცა ჩემი. შენ უკეთ გახსოვს,
როცა გიპოვე, რა შავ დღეში იმყოფებოდი!

გაბმულ ბლავილზე გასასუხობდნენ მგლები ყმულით.
ისე ყვიროდი, გულს უკლავდი ბრაზიან დათვებს.
წყევლით დაგტოვა. მკვდარი გრძნეული ვედარაფერს 290
ველარ შეცვლიდა. როცა მოვედი და გავიგონე
შენი ღრიალი, ხე გავხლიჩე მაგიის ძალით,
გამოგიხსენი.

არიელი

მბრძანებელო, მადლობელი ვარ!

პროსპერო

თუ კიდეც ერთხელ აწუწუნდი, იცი რას ვიზამ:
მუხას გავაპობ, გამოგკეტავ იმაზე მაგრად 295

და გაყურყუტებ თორმეტ ზამთარს.

არიელი

მაპატიე.

რასაც მიბრძანებ, შევასრულებ, არაფერს ვიტყვი.
როგორც გენებოს.

პროსპერო

ასე თუ იზამ, თავისუფლებას
ორ დღეში მოგცემ!

არიელი

ჩემი კეთილი მბრძანებელი.

რა გავაკეთო? აბა მითხარი, რა გავაკეთო?

300

პროსპერო

მინდა ზღვის ნიმფას დაემსგავსო! ხილული იყავ
შენთვის და ჩემთვის, უჩინარი დანარჩენთათვის.
ახლავე წადი, და ამ სახეს, როცა მიიღებ,
მაშინ დაბრუნდი! მოინდომე! აბა შენ იცი!

არიელი გადის.

ჩემო ძვირფასო, გაიღვიძე. გეყოფა ძილი!

305

მირანდა

რაც მომიყევი, ვერ ვიჯერებ. მაგ ამბისაგან
დამძიმდა გული.

პროსპერო

დაივიწყე! წამო, მივდივართ,
ვნახოთ, რას შვება კალიბანი, ჩემი მსახური,
უხეშად რომ გვეპასუხება.

მირანდა

მხეცი, ველური!

არ მსიამოვნებს მისი ნახვა.

პროსპერო

ვერაფერს ვიზამთ,

რადგან გვჭირდება. სხვა ვინ არის, ცეცხლი აანთოს,
შეშა დაჩეხოს, გააკეთოს, რასაც ვავალებთ.
გაგვიჭირდება უიმისოდ. ეი, კალიბან!
გარეთ გამოდი! ხმა გამეცი!

310

კალიზანი

გარედან.

შეშა ბევრია!

პროსპერო

გამოდი-მეთქი! სხვა საქმე მაქვს! რა ზანტი გახდი,
ნამდვილი კუ ხარ!

315

შემოდის არიელი- წყლის ნიმფა.

ო, რა ლამაზი მოჩვენებაა! ყოჩაღ, არიელ!
მო, ყურში გეტყვი!

არიელი

მბრძანებელო, ახლავე ვიზამ.
გადის.

პროსპერო

დამპალო მონა, კუდიანის და ეშმაკის შვილო,
აყროლებული სადგომიდან გამოეტყე.

320

შემოდის კალიზანი.

კალიზანი

ჩამყაყებული, მომწამლავი ჭაობის გესლი,
რომელიც დედას ამოჰქონდა მხოლოდ ყორნის ფრთით,
თავზე დაგსხმოდეთ თქვენ ორივეს! სამხრეთ-დასავლის
წამონაბერმა მუწუკებით აგივსოთ ტანი!

პროსპერო

მაგ სიტყვებისთვის, დაისჯები! ამაღამ ჭვალი
დაგარტყამს გვერდში! გაგაგიჟებს, სუნთქვას შეგიკრავს.
ზღარბ-გობლინები, ღამეულნი, დაგესევიან.
ისე დაგჩხვლეთენ, ფიჭასავით დაიხვრიტები.
ფუტკრის ნესტარზე მწარე იქნება!

325

კალიზანი

მაცალეთ ჭამა!

330

დედისგან დამრჩა ეს კუნძული, სიკორაზისგან.
შენ მე წამართვი. სულ პირველად, აქ რომ მოხვედი,
ძალიან კარგად მექცეოდი, რა არ მასწავლე.

წყალში კენკრები ჩამიყარე. დიდ მანათობელს,
დღისით რომ ვხედავთ, ასე ჰქვიაო, ხოლო პატარას,
სხვა სახელი აქვს - ღამისააო. მეც შეგიყვარე,
მთელი კუნძული მოგატარე. გახსოვს, გიჩვენე
ნაკადულები, მიწა ბერწი, ნაყოფიერი.

335

აქ მარლია. წყეულიმც ვიყო! სიკორაზულად
გრძნებით შეკრული გომბემო და, ხოჭო, ღამურაც,
შემოგსეოდეს! რაც რამე გაქვს, ჩემგან მიიღე,

340

მონად მაქციე, ამ ადგილის ბატონ-პატრონი
ახლა შენია ყველაფერი, რაც ჩემი იყო.
მე კლდეში ვცხოვრობ, არსად მიშვებ.

პროსპერო

ეგ ტყუილია!

შენ მხოლოდ როზგის ენა გესმის. კარგი მოპყრობა
ვერ დაინახე. უზნეო ხარ, რა გავაკეთო.
ხომ ჩემთან ერთად იძინებდი გამოქვაბულში,
ვიდრე წაბილწვა დაუპირე იქ ჩემს ქალიშვილს. 345

კალიბანი

უ! ჰო, ჰო, ჰო! ნეტავი ასე მომხდარიყო!
არ შეგეშალა მაშინ ხელი, ნახავდი, კუნძულს
კალიბანებით ავავსებდი. 350

პროსპერო

ამაზრზენი ხარ!

საზიზღარი! ბოროტების საბრალო ნაყოფს
მხოლოდ სიავე შეგიძლია. მეცოდებოდი.
როგორ ვცდილობდი, გამეზარდე, სამყაროს არსი
მსურდა ამეხსნა. მანიშნებდი, გახსოვს, ღმუილით
შენს ველურ ტვინში რაც ხდებოდა. გასწავლე სიტყვით
გამოგებატა, რომ შეგეცნო, შენ შენი თავი. 355

მაგრამ რად გინდა, რა ისწავლე! დამპალი ჯიში
ისეთი გაქვს, რომ სიკეთე შენთვის უცხოა.
ვერ შეგასმინე ვერაფერი. სწორედ ამიტომ
შენი ადგილი ამ კლდეშია და მე თუ მკითხავ,
მეტის ღირსი ხარ, ვიდრე კლდეში გამოკეტვაა. 360

კალიბანი

ენა მასწავლე! ერთადერთი, რაშიც მარგია,
როგორ დაგწყევლო, კარგად ვიცი: ჭირმა წაგიღოს,
მაგ შენი ენის სწავლებისთვის.

პროსპერო

ალქაჯის მოდგმავ! 365

წადი და შეშა მოიტანე! საქმეს მიხედე,
ასე აჯობებს! როგორ ბედავ, რომ მხრებს იჩეჩავ!
საკმარისია ერთხელ მაინც, არ შეასრულო
ჩემი ბრძანება, რომ მაშინვე, ისეთ კრუნჩხვებში,
ძვლების მტვრევვაში აღმოჩნდები, თავბედს დაწყევლი. 370
ღრიალით მხეცებს შეაშინებ.

კალიზანი

არა, არ გინდა!

თავისთვის

სხვა გზა არა მაქვს. დავმორჩილდი. ისეთ ძალას ფლობს,
დედაჩემის ღმერთს, სეტებოსსაც კი დაჯაბნიდა,
მონად აქცევდა.

პროსპერო

დროზე, გასწი! ვის ვეუბნები!

კალიზანი გადის.

შემოდის არიელი, უხილავია. უკრავს და მღერის.

უკან მოსდევს ფერდინანდი.

არიელის სიმღერა

ყვითელ ქვიშაზე გამოდი, 375

ხელი ჩაჰკიდე მას.

შეყვარებულის ამბორზე

გაირინდება ზღვა.

ზედ გადაივლით, გაჰყვებით

სულელების ექოს ხმას. 380

მოდახილი: ჩუ! ჩუ! აუ, აუ, აუ, აუ!

იქით ძაღლის ყეფა ისმის!

აუ! აუ! აუ! აუ!

მოდახილი: ჩუმად, ჩუმად! გავიგონე, 385

აქეთ მამლის ყივილია!

ყიყლიყოოოო!

ფერდინანდი

საიდან ისმის ეს გალობა, ციდან? მიწიდან?

ახლა გაჩუმდა. ადიდებდა ამ კუნძულის ღმერთს,

ვილაც ნამდვილად! იქ, ნაპირზე, ვიჯექი ჩემთვის, 390

ვტიროდი მეფის, მამაჩემის, დალუპვის ამბავს.

უცებ გაისმა ნაზი ჰანგი, არსაიდანღაც.

ზღვა დააწყნარა, გულზე დარდი გადამიყარა.

ტკბილად ჩამესმა. მოხიბლული გამოვედევე.

ან, იქნებ, თვითონ, გამომიყოლა. - აი, დადუმდა. 395

ისევ დაიწყო!

არიელის სიმღერა

ბნელ ფსკერზე წევს მამაშენი.

მარჯანია მისი ძვლები.

თვალი იქცა მარგალიტად,

ბზინავს ზღვისფრად დანაფერი.

ადგილზეა ყველაფერი,

400

უცნაური ათასფერით.

ვის უხმობენ ზღვის ნიმფები
მოდახილი: ძინ-ძინ! ძინ-ძინ!
აი, გესმის, რეკავს ზარი -ძინ-ძინ.

405

ფერდინანდი

სიმღერით მამცნეს, მამაჩემი ზღვაში დაიხრჩო.
აქ სხვა ძალები ურევია. არც ეს ხმა არის მიწიერი!
ასე ვინ მღერის. თანაც, უკვე ზეციდან მესმის.

პროსპერო

გახსენი ფარდა - კრეტსაბმელი შენი თვალების
და მიპასუხე, იქ რას ხედავ?

მირანდა

რა არის? სული?
ო, რა კარგია, გეფიცები, ძალიან მომწონს.
ლამაზი ფორმა მიუღია, მაგრამ სულია.

410

პროსპერო

არა, გოგონი, ჭამს ჩვენსავით, ჩვენსავით ძინავს.
ჰო, ეგ ყმაწვილი ყველაფერში ჩვენნაირია.
იმ გემზე იყო. მწუხარება რომ მოაცილო,
რაც გარეგნობას, მიმაჩნია, ძლიერ უფუჭებს,
გამოჩნდებოდა უკეთესი. იმათ დაემებს,
ხომალდთან ერთად ვინც დაკარგა.

415

მირანდა.

მაშინ ვუწოდებ
ღვთიურ ქმნილებას, რადგან ასეთი მშვენიერი
არვინ მინახავს არასოდეს.

პროსპერო

თავისთვის
უკვე აეწყო,
როგორც მე მსურდა! ყოჩაღ სულო, ამისთვის მართლაც
ორ დღეში გიშვებ!

420

ფერდინანდი

ქალღმერთია! უეჭველად
მას უგალობდნენ! ნება მომეცი შეგეკითხო,
თუკი შენია ეს კუნძული, როგორ მოვიქცე,
რა გავაკეთო, დავიბენი, რჩევა მჭირდება.
თუმცა ეს ბოლოს უნდა მეთქვა. მთავარ კითხვას კი,
არ ვიცი რატომ, ახლა ვამბობ: ო, საოცრებავ!

425

ქალი ხარ თუ, ქალი არა ხარ?

მირანდა

რა საოცრება,

ქალი ვარ, სერ!

ფერდინანდი

ღმერთო, საუბრობს ჩვენს ენაზე!

უზენაესი ვიქნებოდი ასე მეტყველი,
ჩემს სამეფოში რომ ვიყო ახლა!

430

პროსპერო

უზენაესი?

აბა ესმოდეს ეგ შენს მეფეს ნეაპოლისას?!

ფერდინანდი

ნამდვილად მე ვარ. გამიკვირდა, რაც ახლა ბრძანეთ
მეფის შესახებ. ალბათ ესმის! და ისიც იცის,
მის გამო ვტირი. ნეაპოლის მეფე გახლავართ,
რომელმაც ვნახე, სამწუხაროდ, ჩემი თვალებით,
როგორ დაიხრჩო მამაჩემი.

435

მირანდა

ო, ღმერთო ჩემო!

ფერდინანდი

მთელი ამაღა, მასთან ერთად! ჰერცოგიც იყო
გემზე, მილანის, და მისი ვაჟიც!

პროსპერო

თავისთვის

ვის ხელშიც შენ ხარ,

სწორედ ის არის, ჰერცოგი და, მისი ასული,
ყველაფერი რომ, რიგზე იყოს. გაქებ, არიელ!
პირველი ნახვით მოეწონათ მათ ერთმანეთი.
თავისუფლებას იმსახურებ! - სერ, ერთი წუთით!
მე მგონი რაღაც, ისე არ არის. სერ, ერთი წუთით.

440

მირანდა

ნეტავი მამა რატომ ბრაზობს?! ჩემს ცხოვრებაში,
ვინც კი მინახავს მამაკაცი, ეს მესამეა,
და პირველია, ვინც ამაღელვა. რა ხდება, მამას
არ ენდომება, ასე იყოს?!

445

ფერდინანდი

მშვენიერ ქალწულს,
თუ არ უძღვნია, სხვისთვის გული, შევთავაზებდი
მე ნეაპოლის დედოფლობას!

პროსპერო

სერ, მომისმინე- 450
თავისთვის
მათი ურთიერთ სიყვარული რომ განვამტკიცო,
საქმეს ცოტათი გავართულებ. იოლ ნადავლს ხომ
ფასი არა აქვს!

ფერდინანდს
- მომისმინე. მშვენივრად ვიცი,
აქ რატომაც ხარ! სხვა სახელით შემოიპარე 455
და ახლა ცდილობ დამარწმუნო, შენს ტყუილებში.
სინამდვილეში გსურს კუნძული ჩაიგდო ხელში.
პატრონს წამართვა!

ფერდინანდი

რაც ვთქვი, ისა ვარ!

მირანდა

ასეთ ტამარში ეშმაკები არ იქნებიან.
და თუკი ბოროტს ეს სახე აქვს, მაშინ კეთილიც
ინებებდა მასთან სახლობას.

პროსპერო

ფერდინანდს
მე გამომყევი!- 460
ნუ ესარჩლები! შენ გაჩუმიდი! მოღალატეა!
-წამოდი-მეთქი! მაგრად შეგკრავ თავფეხიანად.
ზღვის წყალს დალევ და, მიაყოლებ ფესვებს, ნიჟარებს,
რკოს ნაჭუჭებს: უკან მომყევი!

ფერდინანდი

არა! 465
არ დაგნებდები, თუკი ძალით არ მომერევი,
არსად წამოვალ ჩემი ნებით.
*ხმაღალს ამოიღებს, მაგრამ მოჯადოებულნი
გაშეშდება.*

მირანდა

მამა, ძვირფასო,
ასე სასტიკად ნუ ექცევი. რა დაგიშავა!
ვერ შეაშინებ, თვითონ ხედავ.

პროსპერო

გინდა მასწავლო
როგორ მოვიქცე? - მოლალატევ, ხმალი ჩააგე!
რაღაცას ცდილობ, ვერ ახერხებ! დანაშაული
არ გასვენებს! აბა, მოდი, რას ელოდები.
იცი რას ვიზამ, ჯოხს გავიქნევ და ეგ იარაღი
უკვე ხელში აღარ გექნება

470

მირანდა

არ გინდა, მამა!

პროსპერო

კაბის კალთაზე ნუ მეკიდები!

მირანდა

შეიბრალე!

475

თავდებად ვდგები!

პროსპერო

ხმა გაკმინდე! არაფერი თქვა!
მაიძულე რომ გაგიბრაზდე?! შენც შეგიძულო?!
თქვი, ვის თავდებობ, გაიძვერას? გაჩუმდი-მეთქი!
ამაზე კარგი ქვეყანაზე არვინ გგონია?
გინახავს ეს და, კალიბანი! ჩერჩეტო გოგო,
მოგეჩვენება ანგელოზად ამასთან სხვები,
ეს - კალიბანად.

480

მირანდა

ჩემთვის ესეც საკმარისია.
სულაც არ მინდა უკეთესი ვინმე ვიპოვო
და არც არავის შევადარებ.

პროსპერო

ფერდინანდს

გამომყევი-თქო!

ხომ ხედავ, ძალა აღარა გაქვს. ჩვილი ბავშვივით
ვერ იმორჩილებ მაგ შენს სხეულს.

485

ფერდინანდი

დიახ ასეა.

ძილ-ბურანში ვარ გახვეული, თითქოს სიზმარში
ვიმყოფებოდე! რაც ჩემს თავს ხდება: მამის დაკარგვა,
ყველას დახრჩობა, ეს სისუსტე, კაცის მუქარა,
ვისაც რატომღაც ვემორჩილები, არ მენადვლება,

490

ოღონდ იმ საკნის სარკმელიდან, სადაც ჩამკეტავს,
ზოგჯერ ვხედავდე მე ამ ქალწულს. თავისუფლება
მთელი ქვეყნისთვის დამითმია. მე კი ტყვეობა
ასეთი მინდა.

პროსპერო

მალიან კარგი! -აბა, წავედით!

არიელს

რა ყოჩალი ხარ, ჩემო არიელ!

ფერდინანდს და მირანდას

მე გამომყევით!

495

არიელს

ჩუმად გეტყვი, ახლა რას იზამ.

მირანდა

შენ არ იღელვო,

იმაზე ბევრად კეთილია, ვიდრე გგონია.

რატომ იქცევა უცნაურად, ვერ გამიგია.

ეს ხომ მამაჩემს არ სჩვევია

პროსპერო

მალე იქნები

თავისუფალი, მთის ნიავივით. მანამდე კი

ის გააკეთე, რაც გიბრძანე.

500

არიელი

როგორც ისურვებთ

პროსპერო

წამო, წავედით! ამის დაცვა აღარ გაბედო!

გადიან.

მეორე მოქმედება

სურათი I

*კუნძულის მეორე მხარე.
შემოდინ ალონზო, სებასტიანი, ანტონიო, გონზალო,
ედრიანი, ფრანსისკო და სხვები.*

გონზალო

გემუდარებით, გახალისდით, ძვირფასო სერ.
თქვენ გაქვთ მიზეზი(ჩვენც, გვაქვს, ყველას!), რომ დაღვრემილი
არ ბრძანდებოდეთ. ხომ გადავრჩით, ზღვამ ვერ დაგვახრჩო.
ყოველდღე ტირის, სადღაც ცოლი, ან მეზღვაურის,
ან ვინმე ვაჭრის, ან სავაჭრო გემის კაპიტნის.
იძირებიან ხომალდები. სასწაულია,
ასე, ჩვენსავით იღბლიანი, მილიონიდან
ძალიან ცოტა თუ იქნება. ცუდსაც და კარგსაც
უნდა სხვა თვალთ გადახედოთ

5

ალონზო

გაჩუმდი, გთხოვ.

სებასტიანი

ნუგეში მიირთვა,
როგორც ცივი ფაფა.

10

ანტონიო

ისეთი სტუმარია
ადვილად არ წავა,

სებასტიანი

შეხედე, ახლა ტვინს საათივით ქოქავს.
მალე ჩამოკრავს!

15

გონზალო

სერ, -

სებასტიანი

გითხარი? ეს ერთი!

გონზალო

თუ დარდი გულთან ასე მიიტანეთ,
გულს დაეწყება-

სებასტიანი

მურვა	20
გონზალო სწორია, ურვა! იმაზე უკეთ ბრძანეთ, ვიდრე თვითონვე ისურვებდით.	
სებასტიანი თქვენ კი იმაზე უკეთ გაიგეთ, ვიდრე მეგონა, გაიგებდით.	
გონზალო სხვათაშორის, ჩემო ბატონო, -	25
ანტონიო რა ფუჭად ისვრის სიტყვებს.	
ალონზო გთხოვ, არ გინდა!	
გონზალო კეთილი. მაგრამ . . .	
სებასტიანი ილაპარაკებს და ილაპარაკებს!	
ანტონიო პირველი ვინ დაიყვილებს ეს თუ ედრიენი. მოდი, სანაძლეო.	30
სებასტიანი ბებერი მამალი!	
ანტონიო ყვინჩილა!	
სებასტიანი კარგი. რაზე იყოს?	
ანტონიო სიცილზე	35
სებასტიანი თანახმა ვარ.	

ედრიენი

ეს კუნძული ხომ თითქოს უდაბურია,-

ანტონიო

ჰა, ჰა ჰა!

სებასტიანი

გადახდილია!

ედრიანი

უკაცრიელი, მიუდგომელი, -

40

სებასტიანი

მაგრამ,

ედრიანი

მაგრამ, -

ანტონიო

არაფერი გამოეპარება!

ედრიანი

ასეთ ადგილებს ახლავს ხოლმე დახვეწილი,
უსათუთესი, უნაზესი ჰავა

45

ანტონიო

ჰავა, უნაზესი, ვით ქალბატონი.

სებასტიანი

თანაც დახვეწილი და უსათუთესი.
მეცნიერულად განმარტა!

ედრიანი

რა საამო სუნთქვა გვეფინება,

სებასტიანი

თითქოს ფილტვები ჰქონდეს ჩამჰალი!

50

ანტონიო

ანდა ჭაობის სურნელებას აფრქვევდეს.

გონზალო

აქ ყველაფერია იმისათვის, რომ იცოცხლო.

ანტონიო

სწორია. რაკი გადარჩი, უნდა იცოცხლო

სებასტიანი

ოღონდ როგორ და რით.

გონზალო

ნახე, რამდენი ბალახია, ისეთი ქორფა,
ისეთი მწვანე!

55

ანტონიო

და მიწა რომ ყვითელია?!

სებასტიანი

მწვანეთვალეა ხომ არის, აქა-იქ.

ანტონიო

ყველაფერს ამჩნევს.

სებასტიანი

ვერა, ჭემმარიტებასთან ცდომილებაშია.

60

გონზალო

მაგრამ, ერთი უცნაურობაა, (რომელიც სრულიად
დაუჯერებელი გახლავთ), -

სებასტიანი

უცნაურობა დაუჯერებელი უნდა იყოს.

გონზალო

ჩვენი ტანისამოსი! როგორც გახსოვთ, ზღვის წყალმა
კარგად დაგვასველა. ის კი, არათუ გამოხუნდა და იერი
დაკარგა, არამედ პირიქით, ახალივით ხასხასებს.
მარილიანი წყლის კვალი არსად ემჩნევა.

65

ანტონიო

მის რომელიმე ჯიბეს რომ ლაპარაკი შეეძლოს, არ გვეტყოდა
ტყუის თუ არა?

სებასტიანი

და თუ თვითონაც მატყუარაა, არ ჩაიჯიბავდა მაგის ნათქვამს?

70

გონზალო

ეს სამოსი მგონი ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც

პირველად რომ ჩავიცვით, აფრიკაში წასვლისას,
თქვენი ლამაზი ასულის, კლარიბელისა და ტუნისის მეფის
ქორწილზე.

სეზასტიანი

რა კარგი ქორწილი იყო და იქიდანაც რა იღბლიანად
დავბრუნდით უკან.

75

ედრიენი

ტუნისს ასეთი დიდებული დედოფალი არასოდეს
ჰყოლია.

გონზალო

ქვრივი დიდო რომ იყო, მას შემდეგ არა!

ანტონიო

ქვრივი? რა ჯანდაბაა! ეს 'ქვრივი' საიდან მოიტანა?
რა ქვრივი დიდო!

80

სეზასტიანი

აბა ეთქვა, „ქვრივი ენეასი!“
მაშინ რას იზამდი.

ედრიანი

'ქვრივი დიდო' თქვი? რას ამბობ. ის კართაგენის
დედოფალი იყო, ტუნისის კი არა.

85

გონზალო

ტუნისს სერ, მაშინ კართაგენი ერქვა.

ედრიანი

კართაგენი?

გონზალო

გარწმუნებთ, კართაგენი!

ანტონიო

ამის სიტყვას მეტი ძალა აქვს, ვიდრე
ჯადოსნური ჩანგის გალობას.

90

სეზასტიანი

კედლებიც ააგო და სახლიც
გადახურა.

ანტონიო

ნეტავ რა არის ის სასწაული,
ახლა რომ გვიმზადებს?

სებასტიანი

აღბათ ამ კუნძულს ჯიბეში ჩაიდებს, შინ წაიდებს
და თავის ვაჟს მიაართმევს, როგორც ვაშლს.

95

ანტონიო

მერე კურკებს ზღვაში დათესავს და ახალ კუნძულებს
აღმოაცენებს.

გონზალო

ბატონო?

ანტონიო

ოდესმე.

გონზალო

ტანისამოსზე მოგახსენებდით სერ!
ისეთივე ცინცხალია-მეთქი, როგორც მაშინ, როდესაც
ტუნისში გახლდით, თქვენი ქალიშვილის ქორწილში,
დღეს რომ ტუნისის დედოფალია.

100

ანტონიო

თანაც ისეთი, არასოდეს რომ არ ჰყოლიათ!

სებასტიანი

ქვრივი დიდო რატომ დაივიწყე?!

105

ანტონიო

ა, ქვრივი დიდო! ხო. ქვრივი დიდო!

გონზალო

რას იტყვით სერ, ჩემი კამზოლი არ გამოიყურება ისე,
როგორც პირველ დღეს. ან თითქმის ისე,

ანტონიო

‘თითქმის’ დროულად დაურთო

გონზალო

თქვენი ქალიშვილის ქორწილში რომ მეცვა.

110

ალონზო

გაუთავებლად ყურს მიჭედავ, რაღაც სიტყვებით,
რომელთა აზრი ჩემს გონებას ხმაურად ესმის.
სად გავათხოვე ჩემი შვილი. მერე იქიდან
დაბრუნებისას ერთადერთი ბიჭი დავკარგე.
აღარც გოგოც მყავს, ფაქტიურად. ისე შორსაა
იტალიიდან, ვეღარ ვნახავ. ჩემო მემკვიდრევ,
შენ უფლისწულო, მილანისა და ნეაპოლის,
რომელი თევზის ლუკმა გახდი!

115

გონზალო

ის ცოცხალია!

მე დავინახე, მაღალ ზვირთებს თავზე მოექცა
როგორც მხედარი, და ტალღები მკერდით გააპო.
დაუნდობელი ოკეანე არ აშინებდა,
თუმც გამეტებით ეხლებოდა ტალღა ტალღაზე.
თავი ამყავდა, აქაფებულ წყალს ზემოთ ჰქონდა.
ო, რა ძლიერად, ნიჩბებივით უსვამდა მკლავებს.
ნაპირისაკენ მიიწევდა. თითქოს ნაპირიც,
მის შესახვედრად ისწრაფვოდა. ამიტომ მჯერა,
მან ხმელეთზე გამოაღწია

120

125

ალონზო

არა, დაიხრჩო!

სებასტიანი

რაც დაგემართა, დააბრალებ შენს საკუთარ თავს.
არ გაიმეტე ქალიშვილი ევროპელისთვის.
ვიღაც აფრიკელს გადაუგდე, სადღაც ტუნისში!
ახლა კი უკვე, გულს გიჩუყებს მისი სიშორე.
ისე შეწუხდი, ცრემლებსაც ღვრი

130

ალონზო

კარგი რა, მორჩი!

სებასტიანი

რამდენი თხოვნა და მუდარა არ შეისმინე,
თან დაგიჩოქეთ. იმ უმანკო შენმა ასულმა,
მორჩილებასა და ზიზღს შორის, ვეღარ გაიგო,
თუ რა უჯობდა. ბიჭიც დაკარგე. აღარა გყავს
შენი მემკვიდრე. მილანსა და ნეაპოლშიაც
დაგვიქვრივდება ბევრი ქალი ამ ამბის გამო.
სად ვნახავთ მათთვის მანუგეშებელთ. თანაც ამდენს.
ესეც, ხომ იცი, შენი ბრალია

135

ალონზო

როგორ დავკარგე!

140

გონზალო

ჩემო ბატონო სეზასტიან,
ზოგჯერ სიმართლევ უნდა ითქვას თავაზიანად.
თავისი დრო აქვს თანაც სათქმელს. თქვენ ჭრილობაზე
მალამოს ნაცვლად მარილს აყრით

სეზასტიანი

დიახ, ასეა!

ანტონიო

ასეთი გახლავთ ქირურგია!

145

გონზალო

რომ იღრუბლებით, მვირფასო სერ, ჩვენი ამინდიც
მაშინ ფუჭდება

სეზასტიანი

უკვე გაფუჭდა?

ანტონიო

და მერე როგორ!

გონზალო

მე რომ აქ მქონდეს პლანტაცია, ჩემო ბატონო, -

ანტონიო

მოიყვანს ჭინჭარს

სეზასტიანი

ან მჟაუნას. ალბათ ბალბასაც!

გონზალო

ანდა საერთოდ, ამ კუნძულის, მეფე რომ ვიყო -

150

სეზასტიანი

ვერ დათვრებოდი, დაგახრჩობდა ღვინის წყურვილი.

გონზალო

შევქმნიდი ახალ წყობილებას, ჯერ არ არსებულს.
იქ ვერ ნახავდით ვერც ვაჭრობას, ვერც სასამართლოს,
რაიმე სახის. წერა-კითხვას არ ვასწავლიდი.

აღარც მდიდრები იქნებოდნენ, არც ღარიბები. 155
გავაუქმებდი სამსახურებს: მემკვიდრეობის,
მიწის მოზომვის, საკუთრების. მეურნეობა,
ღვინო და ზეთი, ვენახები, პური, ლითონი,
არ გვექნებოდა, რადგან არავინ იმუშავებდა
და ჩემი ხალხი, კაცი თუ ქალი, ლაღად ივლიდა. 160
ხელისუფლებაც არ იქნებოდა!

სებასტიანი

მხოლოდ ეგ - მეფე!

ანტონიო

და სახელმწიფო იქამდე მივა, ბოლოს თავისი
არსებობა დაავიწყდება.

გონზალო

ბუნება გვაძლევს, რაც გვჭირდება, რომ ვისულდგმოლოთ.
არც შრომა უნდა, არც ოფლის ღვრა. არ იქნებიან 165
დამნაშავენი. მოღალატენი. ხმალი, ან თოფი,
ან რაიმე სხვა იარაღი, არ იარსებებს.
ბუნება არის ყველაფრის წყარო. ჩემს უცოდველ ხალხს
გამოკვებავს მხოლოდ ბუნება,

სებასტიანი

ქორწინების ნება თუ ექნებათ, ვინც იქ იცხოვრებს? 170

ანტონიო

არა. უსაქმოდ იქნებიანო, ბოზებიც და არამზადებიც!

გონზალო

მე იდეალურ სახელმწიფოს შევექმნიდი სერ.
ის ოქროს ხანას აჯობებდა.

სებასტიანი

დიდება მეფეს!

ანტონიო

დღეგრძელი იყოს მეფე გონზალო!

გონზალო

თქვენ არ მისმენდით?

ალონზო

გაჩუმდი. მორჩი. ვთქვი, არ მესმის, რას ლაპარაკობ. 175

გონზალო

მართაღს ბრძანებთ თქვენო უდიდებულესობავ.
ვამხიარულე ჯენტლმენები. მათ ხომ ფილტვები
მგრძნობიარე აქვთ და თან მუდამ მზად ბრძანდებიან,
სულ არაფერზე გაიცინონ.

ანტონიო

არა, ჩვენ თქვენზე ვიცინოდით!

180

გონზალო

თქვენს მხიარულ მასხარაობასთან შედარებით, მე
ნამდვილად არაფერი ვარ. ასე რომ მშვიდად განაგრძეთ
სიცილი არაფერზე.

ანტონიო

რა დარტყმა იყო!

სებასტიანი

არც აგვცდა!

185

გონზალო

გაბედული და ფიცხი ხასიათი გაქვთ ბატონებო!
ასე მგონია, მეხუთე კვირას მთვარე თუ არ შეიცვალა,
მიხვალთ და მოგლევჯთ ორბიტიდან.
შემოდის არიელი, უჩინარია და საზეიმო მუსიკას აჟღერებს.

სებასტიანი

ასე ვიზამთ და ღამით ჩიტებზე სანადიროდ თან წავიყოლებთ.

ანტონიო

არ განაწყენდეთ, კეთილო სერ!

190

გონზალო

არა, გარწმუნებთ, ასე ადვილად ხასიათს
არაფერი მიფუჭებს. თქვენმა სიცილმა ხომ არ მომგვარა
ნეტავ ძილი, რაღაც დავმძიმდი!

ანტონიო

დაიძინეთ და ისე გვისძინეთ.
ყველა იძინებს ალონზოს, სებასტიანის და ანტონიოს გარდა.

ალონზო

ამათ რა უცებ ჩაეძინათ! ნეტავ შემეძლოს,
თვალი მოვხუჭო და ფიქრებს თავი დავაწიო.

195

აი, ეტყობა, მეც მომეკიდა

სებასტიანი

დაჰყევით, სერ!

მწუხარებისას იშვიათად ეწვევა ვინმეს,
მაგრამ თუ მოვა, დააწყნარებს

ანტონიო

თან ჩვენ აქა ვართ.

200

ერთად დავიცავთ თქვენს სიმშვიდეს. ძილი გჭირდებათ,
სულს დაგვიამებთ

ალონზო

მადლობელი ვარ. მეძინება.

ალონსო იძინებს. არიელი გადის.

სებასტიანი

ეს რა ძილქუში მოერიათ. უცნაურია.

ანტონიო

ალბათ ამ ჰავამ იმოქმედა

სებასტიანი

და თუ ასეა,

ჩვენს თვალებს რა სჭირს, ძილი რატომ არ ეკარება,
მე არც ჩამთვლიმა

205

ანტონიო

არც მე. ნახე, სულ ფხიზელი ვარ.

თითქოს შეთანხმდნენ, დაეყარნენ მოცელილივით,
გეგონებოდა, ერთდროულად დაეცათ მეხი.

ვინ იცის, იქნებ, სებასტიან, - არა არ ვიტყვი! -

მაგრამ, მე მგონი, შენს სახეზეც იგივეს ვხედავ!

210

შესაძლებლობა გამოგიჩნდა, თანაც როგორი!

თითქოს გვირგვინი დავინახე, როგორ ეშვება

უკვე შენს თავზე.

სებასტიანი

რა გჭირს, ალბათ, ძილ-ბურანში ხარ.

ანტონიო

ვლაპარაკობდი, არ გესმოდა?

სებასტიანი

როგორ არა. სწორედ მაგიტომ,
მეც გიპასუხე, რომ სიზმრად ხარ. გძინავს ნამდვილად. 215
თანაც საუბრობ. რას ამბობდი, მგონი ბოდავდი.
უცნაურია, კაცს ეძინოს ღია თვალებით,
რადაცა გითხრას, დაჯდეს, დაწვეს, მიმოდიოდეს,
და თან ეძინოს!

ანტონიო

პატივცემულო სებასტიან,
თვალს ნუ უხუჭავ შენს ბედ-იღბალს. გინდა რომ მოკლა? 220
თვალღია შენც ხარ, და ვერ ხედავ.

სებასტიანი

აშკარად ხვრინავ.
თუმცა შევატყვე, აზრიც იყო, მაგ შენს ხვრინვაში.

ანტონიო

სერიოზულად ვლაპარაკობ, არ გეხუმრები.
და თუ მომისმენ, დამიჯერე, შენთვის ნამდვილად
კარგი იქნება

სებასტიანი

გავისუსე უკვე ტბორივით! 225

ანტონიო

გასწავლი იქვე ნაკადულად!

სებასტიანი

აბა თუ შეძლებ.
ბუნებით მომდგამს მე სიზნანტე და უძრაობა.

ანტონიო

თვითონაც ვერ გრძნობ, სურვილს ისე უვლი გარშემო.
თითქოს დასცინი, თან იშორებ, თან შიგ ეხვევი. 230
გაუბედავ კაცს სიზარმაცე, ან სულაც შიში,
ხშირად მომხდარა, ბევრად უფრო მიაახლოვებს
თავის მიზანთან.

სებასტიანი

ამიხსენი, ბოლოს და ბოლოს,
რა გინდა მითხრა. სახეზე და თვალებზე გატყობ,
მნიშვნელოვანი ამბავია. ასე რომ გიჭირს,
განთავისუფლდე იქნებ დროზე.

ანტონიო

მაშინ მისმინე:

235

იმ ვაჟბატონმა, მოკლე რომ აქვს მეხსიერება
(მივიწყებენ მასაც სწრაფად, თუ დამიწდება),
სცადა და თითქმის დაარწმუნა მეფე იმაში,
(ო, როგორ უყვარს დარწმუნება, იმისთვის გაჩნდა,
ხალხი არწმუნოს!), შენი შვილი ცოცხალიაო.
მე კი მგონია, ის ისევე გადარჩებოდა,
ვით ეს მძინარე აქ დაცურავს

240

სებასტიანი

ალბათ დაიხრჩო,

არ მაქვს იმედი რომ გადარჩა.

ანტონიო

და რომ არა გაქვს

შენ ეგ იმედი, სწორედ მაგიტომ, მოულოდნელად
სულ სხვა იმედი წარმოიშვა, რომლის განჭვრეტა,
შენს ამბიციას ვერასოდეს წარმოედგინა.
უფრო მეტს გეტყვი - ჯერ მიღებაც არ შეუძლია!
გჯერა, დაიხრჩო ფერდინანდი?

245

სებასტიანი

მჯერა.

ანტონიო

მაშინ თქვი,

ტახტის მემკვიდრე ვინ იქნება?

სებასტიანი

ვინ? კლარიბელი!

ანტონიო

ის ტუნისშია, დედოფალი, თანაც შორსაა.
ნეაპოლიდან ამბის მთქმელი, როდის ვინ ჩავა.
შიკრიკად მხოლოდ ერთადერთი, მზე გამოდგება.
მთვარის კაცი ხომ, ნელა დადის, წვერი ექნება
იქ ჩაღწევამდე. იქნებ სულაც მთვარემ მოაწყო,
რაც დაგვემართა. ზოგი დაახრჩო, ზოგს სხვა როლი
გაუნაწილა. როგორც ხედავ, ბედი თამაშობს.
პროლოგი იყო, რაც ჯერ ვნახეთ, და რა მოხდება,
მე და შენზეა! ვიმოქმედოთ!

250

255

სებასტიანი

გესმის, რას ამბობ?!
ჩემი ძმის შვილი დღეს ტუნისის დედოფალია,
თან, მემკვიდრეა ნეაპოლის. თუმც, ქვეყნებს შორის
დიდი მანძილი მართლაც არის 260

ანტონიო

და მაგ მანძილის
ყოველი გოჯი გაიძახის „ რა საჭიროა
შინ დაბრუნება კლარიბელის! დარჩეს ტუნისში!
სებასტიანი გამოფხიზლდეს!“ ამათი ძილი
სიკვდილს ნიშნავს. უფრო ცუდად არ იქნებიან. 265

რით ვერ აჯობებს ნეაპოლის ახალი მეფე,
იმას, რომელსაც ახლა სძინავს. უამრავი გყავს,
გონზალოსავით უსაქმური. ამ ლაქლაქასაც,
გამოუძებნი მალე შემცვლელს. მე აქ არა ვარ!
ისე ვიყბედებ, კაჭკაჭივით! რაც გავიფიქრე,
გაგაგებინო მინდა კარგად. აი, ამ ძილმა
გადაგიწყვიტა მომავალი, გასაგებია? 270

სებასტიანი

მგონი გავიგე!

ანტონიო

თქვი, როგორი კმაყოფილი ხარ,
რომ ბედმა ასე გაგიღიმა?

სებასტიანი

ის გამახსენდა,
შენი ძმა როგორ გააძევე.

ანტონიო

ჰო, გავაძევე. 275
მისი სამოსი მართლაც მშვენიის! ჩემსაზე მეტად!
ადრე პროსპეროს მსახურები ცდილობდნენ ჩემთან
დამეგობრებას. ახლა გახდნენ ქვეშევრდომები.

სებასტიანი

კი, ეს ასეა, მაგრამ სინდისი?

ანტონიო

ნეტავ რა არის, სად ბინადრობს? დახეთქილ ქუსლში? 280
მაშინ ჩაიცივი ფეხსაცმელი. ეგ მზრძანებელი
ჩემს გულს არა ჰყავს. მილანისკენ მიმავალ გზაზე
გადამდგომოდა, თუნდაც ოცი სახის სინდისი,

რას დამაკლებდა! ხომ ვაჯობე! შეხედე შენს ძმას,
მიწაზე რომ წევს, მიწისაგან თუ განსხვავდება. 285

აქვს მნიშვნელობა, მკვდარსა ჰგავს თუ, მკვდარი იქნება?
ჩემი მორჩილი სატევარი სამარადჟამო
ძილში გაუშვებს. ხოლო შენ კი, ზუსტად ერთ წამში,
კაცობრიობას ძველ გადმონაშთს ჩამოაშორებ. 290
ველარ გაგკიცხავს ეგ ბატონი პატიოსნება.
რაც შეეხება სხვა დანარჩენს, სულ იოლია.
ხალხზე ნუ დარდობ, დამიჯერე, ხალხი მიიღებს
შენგან ყველაფერს, ზუსტად ისე, როგორც კატა რძეს
და ამოგძახებს, რასაც ჩასძახებ.

სებასტიანი

შენი ამბავი
მაგალითია, მეგობარო. შენ მილანი გაქვს, 295
ჩემი იქნება ნეაპოლი. იშიშვლე ხმალი!
ერთი მოქნევა ორ რამეს მოგცემს: ხარკს მოიშორებ,
და მეყვარები შენ მე - მეფეს!

ანტონიო

ერთად ვიშიშვლოთ.
მე ამას ვკლავ, ხოლო შენ კი, ჩემსავით იზამ -
მოკლავ გონზალოს

სებასტიანი

ჯერ დაიცა, რალაცას გეტყვი. 300
ჩუმად საუბრობენ.
მუსიკის ხმა. შემოდის არიელი, უჩინარია.

არიელი

ჩემმა ბატონმა, შეიგრძნო საფრთხე, რაც მის მეგობარს,
შენ, გემუქრება. გამომგზავნა აქ იმისათვის
(თორემ გეგმები ჩაეშლება), რომ ყველა გიხსნათ.
გონზალოს ყურთან უმღერის.

ვიდრე აქ წევხარ და მშვიდად ხვრინავ,
ამასობაში შენს მტერს არ სძინავს. 305
დროს ელოდება
თუ გასურს სიცოცხლე შეირგო ტკბილად,
დასთმე ძილი და იყავი ფხიზლად:
გამოიღვიძე, გამოიღვიძე!

ანტონიო

სწორია. მოულოდნელად უნდა გავაკეთოთ!

გონზალო

ანგელოზებო, თქვენ დაიფარეთ ჩვენი მეფე!
იღვიძებენ.

310

ალონზო

რაო, რა ხდება! გაიღვიძეთ! ეს რა ხმლებია!
რა საშინელი სახეები გაქვთ?!

გონზალო

რაშია საქმე!

სებასტიანი

ჩვენ აქ ვიდექით, გდარაჯობდით, და საიდანღაც,
ახლაც ყურში მაქვს, გავიგონეთ რაღაც ღრიალი.
ხარის თუ ლომის! თქვენც ხომ ამ ხმამ გამოგაღვიძათ!
ისევ ჩამესმის, შემზარავი.

315

ალონზო

არ გამიგია!

ანტონიო

როგორ გრგვინავდა, ურჩხულსაც კი შეაშინებდა!
აზანზარებდა დედამიწას. თითქოს ბრდღვინავდა
ლომების ხროვა

ალონზო

გონზალო, შენ გესმოდა რამე?

320

გონზალო

სინდისს ვფიცავარ, ყურში რაღაც ჩამზუზუნებდა
და უცნაურმა, უცხო გრძნობამ, გამომაფხიზლა.
თქვენ შეგანჯღრით, დაგიძახეთ. როგორც კი თვალი
გამოვახილე, დავინახე ხმალამოწვდილნი.
ხმაური ალბათ იქნებოდა. სიფრთხილე გვმართებს.
აჯობებს, სულაც, გავეცალოთ აქაურობას.

325

ალონზო

წამო, წავიდეთ. ჩემი საბრალო შვილი მოვძებნო,
იქნებ ვიპოვო.

გონზალო

ზეცამ იხსნას მხეცებისაგან!
ამ კუნძულზეა ის ნამდვილად.

ალონზო

წინ გამიმეხი!

არიელი

პროსპეროს უნდა მოვახსენო, რა გავაკეთე,
წადი მეფეო, უსაფრთხოდ ივლი, შვილი ეძებე.
გადიან.

330

სურათი II

კუნძული. სხვა ადგილი.

შემოდის კალიბანი, შეშა მოაქვს. ისმის ჭექა-ქუხილი.

კალიბანი

მთელი სიბილწე, მზე რომ იწოვს წუმპეებიდან,
აყროლებული ჭაობიდან, პროსპეროს თავზე
გადაეწუნოს! ჭირი მაგას! მისი სულელები
ვიცი, მისმენენ, აქ არიან. მაინც დავწყევლი!
თუ არ უბრძანა, ვერც ჭაობში გადამათრევენ,
ზღარბის ეკლითაც ვერ დამჩხვლეტენ. ვერც უკუნეთში
შემიტყუებენ ანთებული მუგუზალებით.
როცა მომიქსევს, რა დღეში ვარ! მაიმუნივით
მეჭყანებიან, თან ჩხავიან, რომ შემაშინონ.
შემდეგ კი მკბენენ! მერე ზღარბად გადაქცეულნი,
ფეხქვეშ ძვრებიან, ფეხისგულზე ნემსებს მარჭობენ.
ხანაც გველებად მესევიან, მწარედ მგესლავენ,
ორკაპა ენას ზედ მისვამენ, სისინებენ და,
ჭკუიდან მშლიან, მაგიჟებენ

5

10

შემოდის ტრინკულო

აი, მოვიდა!

გამოაგზავნა უკვე სული. ჩემს საწამებლად,
ეგ შეშა ზანტად ნუ მოგაქვსო! ძირს უნდა გავწვე.
ვინ იცის, იქნებ, ვერ შემამჩნიოს!

15

ტრინკულო

ბუჩქიც კი არ მოჩანს, რომ დაგჭირდეს, თავი სად უნდა შეაფარო,
არადა, ეტყობა, მალე გრიგალი ამოვარდება. ქარი ისე უსტვენს,
ვერძნობ, ახლოვდება. შავი ღრუბელიც გამოჩნდა.
რამოდენაა, გაბერილა ტიკივით. მოვა და თავზე
გადმოგვასხამს, რაც მოიტანა. ჭექა-ქუხილი თუ დაიწყო
წელანდელივით, არ ვიცი, სად უნდა დავიმალო.

20

რას დასცხებს! კოკისპირული წვიმა წამოვა! 25
 ეს რა არის? თევზია თუ ადამიანი? მკვდარია თუ ცოცხალი?
 თევზი ყოფილა! თევზის სუნი აქვს! ნამდვილი ძველი,
 თევზური სუნი. სურნელება, გამხმარი თევზის.
 ერთი ინგლისში ვიყო, როგორც ოდესღაც, და ეს იქ მომცა,
 ბრიყვები ვერცხლის ფულსაც არ დაინანებდნენ. 30
 ურჩხული კაცად მაქცევდა. რამე უცნაური თუ უჩვენი,
 დიდ ფულს იშოვი. საცოდავი ხეიბარისთვის ერთ გროშს
 არავინ გაიმეტებს, მკვდარი ინდიელის სანახავად ათიც არ
 დაენანებათ. ფეხები თითქოს ადამიანისაა!
 ფარფლები მკლავებს უგავს! თბილი ყოფილა! 35
 შევცდი! თევზი არ არის! კუნძულელია.
 წელან რომ მეხი გავარდა, ამას დაეცა
მეხი დაიგრუხუნებს.
 ღმერთო მიშველე! ისევ ატყდა ჭექა-ქუხილი.
 აქ უნდა შევძვრე, ამის გაბარდინის ქვეშ.
 აბა რა ვქნა, გარშემო ვერაფერს ვხედავ. გაჭირვებაო,
 როგორ ამბობენ, რას შვებაო, ვისთან არ დაგაწვენსო?! 40
 თავს შევაფარებ სანამ ქარიშხალი გადაივლის!
შემოდის სტეფანო. მღერის. ხელოში ბოთლი უკავია.

სტეფანო

ზღვაში აღარ მეღირსება გასვლა
 მე მოვკვდები აქ, ამ სანაპიროზე
 საშინელი სიმღერაა, საპანაშვიდე. 45
 აი, ჩემი ნუგეში

სვამს.

კაპიტანს, გაბერილს, ბოცმანს და მე,
 ჩვენს მეზარბაზნეს და მის მეწყვილეს,
 გვიყვარდა მერი, მოლი, მარია, მარგარეტიც კი!
 ქეთისაკენ არც გაგვიხედავს. 50
 ისეთი ენა აქვს, რას გაუბედავ.
 გეტყვის წადიო, ჯანდაბაშიო.
 ვერ იტანს სურნელს კუპრის და ფისის.
 მაგის დაფხანა იმ თერძმა იცის.

ბიჭებო ზღვაში, ეგ - ჯანდაბაში. 55
 ესეც დიდი უაზრო სიმღერაა, მაგრამ აი, ჩემი ნუგეში.
სვამს.

კალიზანი

თავი დამანებე, რას მერჩი! ოოოო!

სტეფანო

რა ხდება? ეშმაკები შემოგვესია?!
 ველური ინდიელების ხრიკებით გინდა გამაოცო?

კაცი დახრჩობას გადავურჩი და რა გგონია, 60
შენი ოთხი ფეხი შემაშინებს?! ნათქვამია,
„ თუ კაცმა ერთხელ მაინც იარა ოთხ ფეხზე,
იმის წამქცევი არავინ არისო“. კიდევ ბევრჯერ იტყვიან,
ვიდრე სტეფანოს პირში სული უდგას!

კალიზანი 65
ჩემი მწამებელია ეს სული: ოოო!

სტეფანო 70
ეს ამ კუნძულის ურჩხული იქნება, ოთხფეხა. საწყალს
ციებ-ცხელება შეეყარა და ბოდავს! მაგრამ ამ ქაჯმა ჩვენი ენა
საიდან იცის, როგორ ისწავლა, ვინ ასწავლა? არა, უნდა
დავეხმარო. აუ, რა კარგი იქნება, ჯერ მოვარჩენ,
მერე მოვათვინიერებ და ნეაპოლში წავიყვან. 70
ნებისმიერ იმპერატორს, ვინც გინდა იყოს,
თამამად მიართმევდა კაცი!

კალიზანი
არ მაწამო, გთხოვ! გეფიცები, შეშას სწრაფად
მივიტან სახლში!

სტეფანო 75
ისეთ დღეშია, აზრზე არ არის, რას ბოდავს.
ცოტა მოყლუპოს, იქნებ ღვინო
არც არასოდეს გაუსინჯავს.
მაშინ ნამდვილად უშველის. მორჩება,
მოშინაურდება, არა, ძვირად არ გავყიდი.
ყველა კმაყოფილი დარჩება. 80

კალიზანი
ნელნელა შეუდგები ახლა წამებას. მალე რა მოხდება,
კარგად ვიცი. ისე ცახცახებ, გასაგებია.
პროსპერო მუშაობს შენზე.

სტეფანო 85
აბა მიდი , გამილე პირი!
ეს იცი რა არი? უცებ აგაჭიკჭიკებს!
პირი გააღე! ნახე, როგორ მოგიჩვენს ციებ-ცხელებას.
და კარგად გახდები. დამიჯერე, ასეა!
ჰო, ძნელია მიხვდე, ვინ მეგობარია და ვინ არა.
აბა კიდევ გამილე პირი!

ტრინკულო

ხმა მეცნობა. ნეტავ ის არის? - არა. არა. 90
ის ხომ დაიხრჩო. ესენი, ავი სულელები არიან!
ღმერთო, დამიფარე!

სტეფანო

ოთხი ფეხი და ორი ხმა! რა დახვეწილი 95
ურჩხულია. ახალმა ხმამ სასიამოვნო რაღაც
თქვა მეგობარზე. წედან რომ ლაპარაკობდა,
ის ცუდი იყო, ილანძღებოდა. ბოლომდე დალიოს
თუ ასე შველის. მოვურჩენ ციებას.
მიდი - შეგერგოს! ახლა ცოტას იქ ჩავასხამ,
მეორე პირში!

ტრინკულო

სტეფანო! 100

სტეფანო

მეორე პირმა ჩემი სახელი დაიძახა?!
ღმერთო, მიშველე! ავი სული ყოფილა,
ურჩხული კი არა. წავედი აქედან!

ტრინკულო

სტეფანო! თუ მართლა სტეფანო ხარ, 105
ხელი მომკიდე, რამე მითხარი! ტრინკულო ვარ,
შენი მეგობარი! ნუ გეშინია!

სტეფანო

თუ ტრინკულო ხარ, გარეთ გამოდი! თვითონ გამოგათრევ 110
ამ პატარა ფეხებით. ტრინკულოს ფეხების
თუ რამე გამეგება, ეს ნამდვილად მისი ფეხებია.
სწორედ რომ ტრინკულო ხარ! მართლაც!
მაგრამ, ურჩხულის ფუნად რატომ იქეცი?
ეს ტრინკულოებს კურკლავს?

ტრინკულო

მეგონა მკვდარი იყო, მეხი დაეცა და მოკვდა. 115
არ დამხრჩვალხარ, სტეფანო? რა კარგია,
რომ არ დამხრჩვალხარ. ქარიშხალი ჩადგა?
მე კიდე, ქარიშხალს დავემალე და ამასთან
შევძვერი. ცოცხალი ხარ სტეფანო? სტეფანო,
ორი ნეაპოლელი გადარჩენილა!

სტეფანო

ასე ნუ მატრიალებ, ხომ იცი, ჩემი კუჭი

ვერ გაუძლებს! 120

კალიბანი

ესენი კარგი ხალხია, იმ სულელებს არ გვანან.
კეთილი ღმერთი მოსულა, თავისი ციური შარბათით.
მის წინაშე მუხლი უნდა მოვიყარო.

სტეფანო

როგორ გადარჩი? აქ საიდან გაჩნდი?
ამ ბოთლს გაფიცებ, თქვი, საიდან მოხვედი! 125
მე კასრზე ავძვერი, მეზღვაურებმა რომ
წყალში ისროლეს, ამ ბოთლს გეფიცები.
ჩემი ხელით გამოვთალე ხისგან,
როცა ნაპირზე გამოვირიყე.

კალიბანი

მაგ ბოთლზე დავიფიცებ, რომ შენი ერთგული მსახური 130
ვიქნები, რადგან ზეციურია სასმელი, შიგ რაც ასხია.

სტეფანო

მოდო! შენ დაიფიცე და თქვი, როგორ გადარჩი!

ტრინკულო

გამოვცურე, ადამიანო! იხვივით! ხომ იცი, რომ
იხვივით ვცურავ. თუ გინდა, დავიფიცებ!

სტეფანო

აჰა, ემთხვევ წმინდა წიგნს, მიუხედავად იმისა, 135
რომ არ ცურავ იხვივით და ვერც იცურებ,
რადგან ნამდვილი ბატი ხარ!

ტრინკულო

სტეფანო, ეს კიდევ გაქვს?

სტეფანო

მთელი კასრი, მეგობარო! ღვინის სარდაფი კლდეში მაქვს, 140
სანაპიროზე. კარგად დავმალე.
შენ როგორ ხარ მახინჯო, გაგიარა ციებამ?

კალიბანი

ციდან ჩამოვარდი?

სტეფანო

არა, მთვარიდან. იყო დრო, ის კაცი ვიყავი,

რომელიც მთვარეზე ცხოვრობს. დამიჯერე.

კალიბანი

გიცქერდი ხოლმე იქ. გაღმერთებდი.
ჩემმა ქალბატონმა დამანახა შენი თავი, შენი ძაღლი,
და ბუჩქი.

145

სტეფანო

მოდი ამაზე დაიფიცე. ემთხვე.
ამიერიდან ახალი შინაარსით ავაცსებ!
დაიფიცე!

150

ტრინკულო

მნათობებს ვფიცავ, ბრიყვი ყოფილა ურჩხული.
მე კიდე როგორ მეშინოდა. ეს საცოდავი ესა.
კაცი მთვარეზე, ხო!? დაიჯერა! ურჩხულო ყოჩად, კარგია!
მართლა გჯერა, არა?

კალიბანი

გიჩვენებ ამ კუნძულის ნაყოფიერ ადგილებს,
ფეხებს დაგიკოცნი. გთხოვ, იყავი ჩემი ღმერთი!

155

ტრინკულო

ო, მნათობნო, ვერაგიც ყოფილა მთვრალი ურჩხული:
ღმერთი რომ დაიძინებს, ეს ბოთლს მოპარავს.

კალიბანი

ფეხს დაგიკოცნი. დავიფიცებ, რომ ვიქნები შენი
ერთგული.

160

სტეფანო

მაშ დაემხე და დაიფიცე.

ტრინკულო

ლამისაა სიცილით მოვკვდე. აღარ შემიძლია
ამ ჩერჩეტი უჩხულის ატანა. სულელი! მინდა
ერთი კარგად მივბეგვო, -

სტეფანო

მოდი, აკოცე!

165

ტრინკულო

-მაგრამ მეცოდება, თანაც მთვრალია.
გული მერევა ამ ურჩხულზე.

კალიბანი

ანკარა წყაროს გაპოვნინებ, დაგიკეფ კენკრას,
თევზებს დაგიჭერ, ბლომად შეშას მოგიმარაგებ.
ჭირს წაუღია ის დესპოტი, ჩემი ბატონი.
ამიერიდან იმას ფიჩხსაც აღარ მივუტან.
შენ გამოგყვები, საოცარო ადამიანო.

170

ტრინკულო

ჩერჩეტი ურჩხული. საწყალ ლოთს ეუბნება
საოცარი ადამიანი ხარო!

კალიბანი

მაჟალო ვაშლი სად იზრდება, უნდა გიჩვენო,
მიწისთხილებსაც ამოგითხრი გრძელი ფრჩხილებით.
ჩხიკვის ბუდეებს ჩამოფუვლით. მაიმუნებს კი,
მახეს დავუგებთ. მოგიგროვებ გასატებ თხილსაც.
ბარტყებს მოგიყვან თოლიების, მაღალი კლდიდან.
თქვი, თანახმა ხარ? გამომყვები?

175

180

სტეფანო

კარგი, წავიდეთ, ოღონდ ამდენს ნუ ლაპარაკობ.
ტრინკულო, ხომ იცი, ყველა დაიხრჩო,
მეფეც და დანარჩენებიც. აქაურობა სულ ჩვენია.
ეს ბოთლი წამომიღე. ტრინკულო, მეგობარო, რამდენჯერაც
დაიცლება, იმდენჯერ გავავსებთ.

185

კალიბანი

მთვრალია, მღერის.

მშვიდობით მბრძანებელო, მშვიდობით! მშვიდობით!

სტეფანო

ურჩხული ღრიალებს: დათვრა ურჩხული!

კალიბანი

ვერც სათევზე საგუბარის ამოთხრას
და ვერც ტყიდან შენთვის შეშის მოთრევას
აწი ველარ მიბრძანებ.
აღარც ჭურჭლის რეცხვა, არც გობების ხეხვა.
ბალი - ბან, კალი-ბან!
გყავს ბატონი ახალი! სულ ახალი, ახალი!
თავისუფლებას გაუმარჯოს! რა დღე გათენდა!
თავისუფლება! თავისუფლება!

190

195

სტეფანო

მამაცო ურჩხულო, გზა გვიჩვენე, წინ გაგვიძეხი!
გადიან.

მესამე მოქმედება

სურათი I

*პროსპეროს გამოქვაბულთან.
შემოდის ფერდინანდი. შემოაქვს დიდი მორი*

ფერდინანდი

გართობის დროსაც ხომ იღლება ადამიანი.
სიამოვნება ამსუბუქებს საქმის კეთებას.
ყოველთვის უნდა გაისარჯო ღირსების გრძნობით,
როცა მიზანი სასურველი, წინ გეგულება.
ამ გაუსაძლის, უსიამო, მომქანცველ შრომას,
იმ ქალბატონის გამო ვიტან, რომელიც მკვდარსაც
მისცემდა ძალას. საამოს ხდის ტანჯვა-წვალებას!
სასტიკი მამის მშვენიერი, კეთილი შვილი.
დაუნდობელი, გულქვა მამა! მისი ბრძანებით,
უნდა მოვზიდო, ათასობით, ასეთი მორი
და აქ დავაწყო! ჩემი პატარა ქალბატონი,
თვალცრემლიანი შემომცქერის, როცა მოვათრევ
და საშინლად წუხს: რატომ გტანჯავს, რისი გულისთვის!
არაფერია, ვფიქრობ ჩემთვის, თან მიხარია,
მიმსუბუქდება თითქოს ტვირთი.

5

10

შემოდის მირანდა. მოშორებით ვხედავთ პროსპეროს.

მირანდა

გემუდარები,
თავს ნუ მოიკლავ მუშაობით! ნეტავი მეხმა
შენი მტანჯველი ეს მორები ნაცრად აქციოს.
ცოტა ხნით დადე, დაისვენე! ეგ შეშა ცეცხლშიც
ცრემლებს დაღვრის, ასე ძლიერ რომ გაგაწვალა.
მამა მუშაობს, ჩაფლულია თავის წიგნებში.
დაისვენე!

15

20

ფერდინანდი

არა, ძვირფასო ქალბატონო,
მზე უკვე ჩავა, სადაცაა და ვერ მოვასწრებ,
რაც დამავალეს.

მირანდა

მოდით ახლა, შენ ჩამოჯექი,
შეგეშველები ცოტა ხანი! ხელი გაუშვი,
თვითონ მივიტან ადგილამდე.

ფერდინანდი

სათნო არსებავ,
მომწყდეს კისერი, მირჩვენია, წელიც ამტკივდეს,
როგორ გაკადრებ ასეთ რამეს: შენ მორს ათრევდე
და მე კი ამ დროს წყნარად ვიჯდე?!

25

მირანდა

რატომაც არა!
თუ შენ აკეთებ მძიმე საქმეს, მე ვინ ვყოფილვარ.
უფრო იოლად გამომივა. მე ნებით ვიზამ,
შენ შვები ძალით,

30

პროსპერო

თავისთვის

საბრალო ბარტყს სენი შეჰყვრია.
ნიშნებს ვკითხულობ. სახეზეა!

მირანდა

თან, დაღლილი ხარ.

ფერდინანდი

კეთილშობილო ქალბატონო, როცა გვერდით ხარ,
ბნელი დამეც დღეა ნათელი. ერთი თხოვნა მაქვს
(მხოლოდ იმიტომ, რომ ლოცვებში მოგიხსენიო),
შენი სახელი უნდა მითხრა.

35

მირანდა

მირანდა. - მამა,
არ შევასრულე, რაც მიბრძანე!

ფერდინანდი

საოცარს ნიშნავს
ეგ სახელი. და ხარ კიდევაც საოცრება!
გამორჩეული, საუკეთესო! ძალიან ბევრი
მინახავს ქალი, დახვეწილი, უნატიფესი.
სმენას მიტკობობდა საუბარი მათი საამო.
თითოეული სულ სხვადასხვა ხიბლით მხიბლავდა.
რამოდენიმე მომწონდა კიდევ, მაგრამ რატომღაც,
ერთიც არ იყო სრულყოფილი, იმათ მშვენიერებას
ყოველთვის რაღაც ხინჯი ჩრდილავდა
და ეს ყველაფერს აფუჭებდა. შენ ხარ უნაკლო.
შენშია ყველა ის ღირსება, რაც კი ქმნილებას
გააჩნია საუკეთესო

40

45

მირანდა

ქალებს არ ვიცნობ.
არცერთი სახე არ შემორჩა მეხსიერებას.
სარკეში ვხედავ მხოლოდ ჩემს თავს, და სულ ეს არის.
რაც შეეხება მამაკაცებს, ერთი შენა ხარ,
ჩემო კეთილო მეგობარო, მეორე მამა,
სხვები არ ვიცი, მაგრამ ვფიცავ პატიოსნებას

50

(უფრო ძვირფასი არაფერი არ გამაჩნია),
შენს გარდა არვის, მე მეგობრად არ ვინდომებდი, 55
წარმოსახვაშიც კი ვერავის ვერ შეგადარებ,
ჩემთვის შენა ხარ ერთადერთი. რას ვლაპარაკობ!
აღარ ვჩუმდები! მამაჩემის დარიგებები,
არ ვიცი რატომ, დავივიწყე

ფერდინანდი

იცი ვინა ვარ?
უფლისწული ვარ მე მირანდა, ტახტის მემკვიდრე. 60
ვაი რომ, მგონი, მეფეც გავხდი (ნეტავ ვცდებოდე).
ამ დამცირებას, შეშის ზიდვას, არასდიდებით
არ ავიტანდი, მაგრამ გეტყვი, რა ხდება სულში!
იმ წუთიდანვე, როცა პირველად დაგინახე,
გული მაშინვე შენთვის ამგერდა. ახლაც ასეა, 65
შენი მონა ვარ, მე შენს გამო გადავიქეცი,
მორჩილ მეშეშედ, შეშისმთრევლად

მირანდა

მე შემეცვარე?

ფერდინანდი

ო, დედამიწავ, ო, ზეცაო! თქვენ დამემოწმეთ,
და რასაც ვამბობ, გთხოვთ, რომ კარგად დააგვირგვინოთ, 70
თუ მართალია! და თუ ვტყუი, ყველა სიკეთე,
რაც ჩემთვის გსურდათ, ჩამომართვით, არ მომანიჭოთ.
მე შენ მიყვარხარ, უსაზღვროდ და უკიდევანოდ,
ამქვეყნად ჩემთვის ყველაფერი ხარ!

მირანდა

სულელი, ვტირი!

იმის მაგივრად, მიხაროდეს!

პროსპერო

შეყვარებულთა პაემანი!
ორი სპეტაკი გრძნობის შეყრა! წყალობის თვალთ 75
გადმოხედე ზეცავ, მიჯნურებს!

ფერდინანდი

თქვი, რატომ ტირი?

მირანდა

უმწეობისგან. ვერ გიბედავ გაგიზიარო
რა სურვილი მკლავს და სანაცვლოდ, ჩემი წადილის,

რა ცოტას ვითხოვ! ვლაპარაკობ, მთავარს არ ვამბობ!
რაც უფრო ვმალავ, ჩემში ნდომა მეტად იზრდება, 80
ნელა, თანდათან, ძლიერდება. აღარ დავფარავ.
სჯობს, რომ ახლავე, პირდაპირ და, გულწრფელად გითხრა,
მე მინდა გავხდე შენი ცოლი, თუკი შემირთავ.
თუ არ შემირთავ, მაინც მინდა მე შენთან ყოფნა.
თუ ესეც არ გასურს, იმას მაინც ნუ ამიკრძალავ, 85
ვიყო მხევალი

ფერდინანდი

ქალბატონო, ჩემო ძვირფასო,
მეც ხომ ეგ მინდა!

მირანდა

ესე იგი, ქმარი გახდები?

ფერდინანდი

გულს ეგ სწყურია, თან ისე ძლიერ,
როგორც მონას თავისუფლება. აი აქ არის ჩემი ხელი.

მირანდა

ჩემიც და გულსაც მოვაცოლებ! ახლა დროებით, 90
ნახევარი საათით გტოვებ

ფერდინანდი

ათასი იყოს! იყოს ათასი!
მირანდა და ფერდინანდი გადიან.

პროსპერო

ბედნიერებას ამათსავით მე ვერ შევიგრძნობ,
ეს ხომ პირველი გაცეცხაა, მაგრამ ის ვიცი,
რომ ასე ძლიერ, არაფერი გამახარებდა.
ახლა ჩემს წიგნებს ვუბრუნდები. ბევრი საქმე მაქვს. 95
ვახშობამდე უნდა მოვასწრო!
გადის.

სურათი II

*კუნძულის მეორე მხარე.
შემოდინან სტეფანო და ტრინკულო.
მათ უკან მოჰყვება კალიბანი ბოთლით ხელში.*

სტეფანო

ეგ არ გამაგონო, წყალს მხოლოდ მაშინ დავლევთ, როდესაც

კასრი დაიცლება, მანამდე არც ერთი წვეთი. აბა, ასწიე და გადაუშვი! მსახურო ურჩხულო, მე მადღერძელე!

ტრინკულო

მსახური ურჩხული?! ამ კუნძულის გიჟი!
თქვეს, ხუთიოდე კაცია ამ კუნძულზეო.
სამნი აქა ვართ. დანარჩენი ორის თავშიც თუ იგივე ხდება,
ეს სახელმწიფო კარგად მორყეულა.

5

სტეფანო

დალიე, მსახურო ურჩხულო! როცა გიბრძანებ, უნდა დალიო.
თვალები ლამის შეგიძვრეს თავში.

ტრინკულო

აბა სხვაგან სად. ისე, ნამდვილი ურჩხული მაშინ იქნებოდა,
კუდის ქვეშ რომ შეძვრომოდა.

10

სტეფანო

ჩემი კაცი - ურჩხული! ენა ჩაეხრჩო კასრში!
მე კიდე, ამხელა ზღვამაც ვერ დამახრჩო. რამდენი ვიცურე!
ოცდათხუთმეტი ლიე, ხან აქეთ, ხან იქით და ბოლოს, აღმოვჩნდი
ნაპირზე, დღის შუქს ვფიცავ! ურჩხულო, შენ ლეიტენანტობა გინდა,
თუ ჩემი რიგითი იქნები?

15

ტრინკულო

ლეიტენანტობა ურჩევნია, თუ უბოძებ.
აბა ეს რიგითი როგორ იქნება!

სტეფანო

სირბილი არ გვინდა აქეთ-იქით, არა, მესიე ურჩხულო?

ტრინკულო

ფეხის გადადგმა გვეზარება, გვირჩევნია ძალღივით
ფეხქვეშ გაგეგოთ. ხმასაც არ ვიღებთ!

20

სტეფანო

მაჯლაჯუნა, ცხოვრებაში ერთხელ მაინც თქვი რამე, ჩუმად ნუ ხარ,
თუ ჩემი კარგი მაჯლაჯუნა ხარ!

კალიბანი

რას მიბრძანებთ, თქვენო კეთილშობილებავ? თუ გნებავთ, ფეხსაცმელს
გაგილოკავთ. ამას არ მოვემსახურები. ეს ლაყვა

25

ტრინკულო

შე მართლა გამოშტერებულა! ისეთ ფორმაში ვარ,
სასახლის მთავარ მცველსაც მოვერევი! უტვინო თევზო,
ვის გაუგია ლაყემ იმდენი ღვინო დალიოს, მე რომ დღეს დავლიე.
ასეთ ტყუილს მარტო შენნაირი ურჩხული თუ იტყვის,
სწორედ ისეთი, ნახევრად თევზი რომ არის,
და ნახევრად ურჩხული.

30

კალიბანი

აუ, დამცინის! ამის ნებას მისცემთ,
ჩემო მბრძანებელო?

ტრინკულო

'მბრძანებელო' თქვა? რომელი ურჩხული იქნება
ასეთი იდიოტი?!

35

კალიბანი

აი, ისევ! უკბინეთ რა, და მოშხამეთ, გთხოვთ

სტეფანო

ტრინკულო, ენას არ გააჩერებ? თუ ასე გააგრძელებ,
პირველივე ხეზე დაგკიდებ! ეს საწყალი ურჩხული
მე მეკუთვნის და არ მინდა, ვინმე უპატივცემულოდ
მოეპყრას!

40

კალიბანი

მადლობელი ვარ, ჩემო კეთილო მბრძანებელო! თუ ნებას მომცემთ,
მინდა თხოვნით მოგმართოთ.

სტეფანო

სიამოვნებით მოგცემ. დაიჩოქე და ისე მომახსენე. მე ფეხზე ვიდგები.
ტრინკულოც ასევე!
შემოდის არიელი. უხილავია.

კალიბანი

უკვე გითხარით, რომ ვარ მონა ერთი ტირანის.
ის კაცი ჯადოქარია. თავისი ხრიკებით,
მან მე ეს კუნძული წამართვა.

45

არიელი

ტყუი!

კალიბანი

არა, შენ თვითონ ტყუი, შე მასხარა მაიმუნო!
ოხ, ნეტავ ჩემმა მბრძანებელმა დედა გიტყოს!

მე არ ვტყუი!

50

სტეფანო

ტრინკულო, ამ კაცს თუ კიდევ შეაწყვეტინებ,
იცი რას გიზამ, ჩემი ხელით? პირში კბილი
აღარ შეგრჩება!

ტრინკულო

რა გინდა, ხმა არ ამომიღია

სტეფანო

ჰოდა, გაჩუმდი.

კალიბანს

შენ გააგრძელე!

55

კალიბანი

ის უკვე ვთქვი, ჯადოქრობით წამართვა-მეთქი.
მე მეკუთვნოდა ეს კუნძული. თქვენი ბრწყინვალება
თუ მოინდომებს შურისძიებას, თქვენ ამას შეძლებთ,
ეს ვერ შეძლებდა,

სტეფანო

დარწმუნებული იყავი!

60

კალიბანი

და მერე გახდებით კუნძულის მბრძანებელი, მე თქვენი მონა.

სტეფანო

ეს როგორ უნდა გავაკეთოთ?
შეგიძლია, მასთან მიმიყვანო?

კალიბანი

დიახ, დიახ, მბრძანებელი. მიგიყვან, როცა დაიძინებს.
მერე ლურსმანი აიღე და თავში ჩააჭედე.

65

არიელი

ტყუილია, ამას ვერ იზამ.

კალიბანი

ამ ჭრელა-ჭრულას ვერ უყურებ, შე ჯამბაზო!
თქვენო უდიდებულესობავ, ერთი კარგად მიტყიპე, მოუხდება,
ბოთლიც წაართვი, ზღვის წყალი სვას, სხვას მაინც ვერ იპოვის,

70

მე წყარობთან არ მივიყვან.

სტეფანო

ტრინკულო, მორჩი, თორემ ცუდად იქნება შენი საქმე.
ერთხელ კიდევ ხმას ამოიღებ, ჩემს ურჩხულს შეაწყვეტინებ,
იცოდე, ხელს ვეღარ დავიმორჩილებ. იმდენს გირტყამ,
ხმელ ტარანს დაემსგავსები.

75

ტრინკულო

რატომ, რას მერჩი, რა გავაკეთე? არაფერი არ მიქნია.
ავდგები და სულაც წავალ აქედან.

სტეფანო

შენ არ თქვი, ტყუილ?

არიელი

ტყუი!

სტეფანო

ასე არა? აი, მიიღე!

გაატყამს.

კარგი იყო? აბა კიდევ თქვი,, ტყუიხარო!

80

ტრინკულო

არ მითქვამს ტყუიხარო. ტვინი აღარ გაქვს თავში!
ახლა სმენაც დაკარგე! ღმერთმა დასწყევლოს ეს ღვინო!
ამდენი სმა შეიძლება? აი, რას შვება ლოთობა.
ჯანდაბამდე გზა ჰქონია შენს ურჩხულს.

85

კალიზანი

ჰა, ჰა, ჰა!

სტეფანო

მიდი, განაგრძე, რას მიყვებოდი.

შენ კი იცი რა, იქით გაიწიე!

კალიზანი

ჯერ მიჰყუე ეგ ერთი მაგრად. მალე მივალ და
მეც უნდა ვურტყა.

სტეფანო

გაიწი-თქო.- შენ გააგრძელე!

90

კალიზანი

ისიც გითხარი, ნაშუადღევს ყოველთვის სძინავს.
 ეს კარგი დროა იმისათვის, რომ თავში ჩასცხო.
 ჯერ წიგნებს იღებ! თავიდანვე! მერე თუ გინდა
 თავს გაუჭეკყავ, დანით მუცელს გამოუფატრავ,
 ან ყელს გამოჭრი, როგორც შენ გინდა. მთავარია, 95
 არ დაგავიწყდეს, ჯერ წიგნები უნდა აიღო.
 მაგათ გარეშე ჩემისთანა არარაობად
 გადაიქცევა. სულებს ვეღარ დაიმორჩილებს.
 და სხვათაშორის, იმათაც სძულთ. წიგნები დაწვი!
 ბევრი აქვს სახლში მოწყობილობა (ასე უწოდებს!) 100
 რომელსაც, ამბობს, როცა წავალ, თან წავიღებო.
 მაგრამ მთავარი საგანძური, მისი ქალია,
 ულამაზესი! უდარებელს უწოდებს თვითონ.
 მე მაგის არა გამეგებს. ორ ქალს ვიცნობდი,
 სხვა არ ვიცი: სიკორაქსი - დედაჩემი 105
 და კიდევ ის. მათ ერთმანეთს ვერც შეადარებ,
 ის ისეთი მშვენიერია

სტეფანო

მართლა კარგია?

კალიბანი

დიახ, ბატონო. ლოგინშიაც მოგეწონება
 და შესანიშნავ შვილებს გაგიჩენს.

სტეფანო

ურჩხულო, მოვკლავ იმ კაცს. მისი ქალიშვილი და მე 110
 მეფე-დედოფალი ვიქნებით -(უფალო, დაიფარე ჩვენი
 ბრწყინვალეა!)- ტრინკულო და შენ მონარქის კარზე იმსახურებთ.
 მოგწონს ამბის ასეთი განვითარება ტრინკულო?

ტრინკულო

ბრწყინვალეა!

სტეფანო

მომეცი ხელი. ძალიან ვწუხვარ რომ გაგარტყი. 115
 ოღონდ იცოდე, სანამ პირში სული გიდგას,
 ენას კბილი უნდა დააჭირო.

კალიბანი

უკვე საათის ნახევარი და დაიძინებს.
 მერე მიხვალ და გაანადგურებ?

სტეფანო

გეფიცები პატიოსნებას.

არიელი

ამას მბრძანებელს მოვახსენებ.

120

კალიბანი

კარგ გუნებაზე დამაყენე. ბედნიერი ვარ.
მოდით ვიმხიარულოთ, იმღერებ იმ სიმღერას,
ცოტა ხნის წინ რომ მასწავლეთ?

სტეფანო

როგორც ინებებ, ურჩხულო, რასაც გინდა,
გავაკეთებ. მოდი, ტრინკულო, ვიმღეროთ.

125

მღერის

ესეც ასე, ისიც ისე! იმათ ისე, ამათ ასე.
ფიქრი თავისუფალია!

კალიბანი

ეგ ის სიმღერა არ არის

არიელი უკრავს სალამურზე და დოღზე

სტეფანო

აი, ეს არის ის!

130

ტრინკულო

ეს არის ჩვენი მელოდია. უკრავს ვიღაცა,
რომელიც აქ არის, მაგრამ ვერ ვხედავთ.

სტეფანო

თუ ადამიანი ხარ, გამოდი და ხორციელად გვეჩვენე.
თუ ეშმაკი ხარ, რა სახითაც გინდა, მოდი.

ტრინკულო

ო, მომიტევე შეცოდებანი ჩემნი!

135

სტეფანო

ვინც კვდება, მას ყველა ვალი გასტუმრებული აქვს!
მიიღე გამოწვევა და გამოდი! ღმერთო, შეგვეწიე!

კალიბანი

გეშინია?

სტეფანო

არა, ურჩხულო, მე არა.

კალიბანი

არ შეგეშინდეთ! ეს კუნძული სავსეა ხმებით, 140
ტკბილი ჰანგებით. არ გერჩიან, სმენას გიტკობენ.
ზოგჯერ მრავალი საკრავი ჟღერს - წკრიალებს ერთად,
ხან კი ბზუილი მესმის ყურში. უცნაური ხმა
მალვძიებს ხოლმე ღრმა ძილიდან და ისევ ძილს მგვრის.
ბურანში რომ ვარ, ცაზე ღრუბელს ვხედავ გადახსნილს. 145
იქ სიმდიდრე სჩანს, ათასგვარი. ცოტაც და თავზე
გადმომეყრება. ამ დროს ვიღვიძებ და კვლავ სიზმარში
დაბრუნება მინდა ძალიან.

სტეფანო

რა მაგარი სამეფო მექნება,
თავის უფასო მუსიკიანად. 150

კალიბანი

როცა პროსპერო აღარ იქნება!

სტეფანო

მახსოვს, რაც უნდა გავაკეთო.
ყველაფერი თავის დროს უცდის.

ტრინკულო

ჰანგი ნელ-ნელა სადღაც მიდის.
ჯერ ამას გავყვეთ, საქმე მოიცდის. 155

სტეფანო

წამო ურჩხულო, გაგვიძეხი. ის მედოლე მაინტერესებს,
რა კარგად უკრავს!

ტრინკულო

შენ არ მოდიხარ? მე სტეფანოს მივყვები.
გადიან.

სურათი III

კუნძული. სხვა ადგილი.

*შემოდინ ალონზო, სებასტიანი, ანტონიო, გონზალო,
ედრიენი, ფრანსისკო და სხვები.*

გონზალო

წმინდა მარიამს გეფიცები, მეტს ველარ ვივლი.
ბებერი ძვლები ყველგან მტეხავს. ლაზირინთში ვართ.

ხან სწორი გზაა, ოკრო-ბოკრო, ხან დაკლავნილი.
გთხოვთ, დამასვენეთ.

ალონზო

ჰო, მოხუცო. ვერ გაგამტყუნებ,
ქანცი გამიწყდა მე თვითონაც, სულ მოვითენთე. 5
აქ ჩამოჯექი, დაისვენე. მეც გავჩერდები.
უკვე იმედი დამეკარგა. რას მოვეჭილო,
აღარც კი ვიცი. დავიჯერებ, რომ ის დაიხრჩო.
დიდხანს ვეძებეთ, მთელ კუნძულზე. ზღვა დაგვცინოდა,
მანდ რას ეძებთო. ასეა და, რა ვქნა არ ვიცი. 10

ანტონიო

სებასტიანს
ამას იმედი ეწურება, მე მიხარია.
პირველი მარცხი ნუ დაგაფრთხობს. რაც ჩავიფიქრეთ,
ძალაში რჩება.

სებასტიანი

ანტონიოს
მეორე ცდისთვის
მოვემზადებით.

ანტონიო

სებასტიანს
ეგ მოხდება, უკვე ამაღამ!
სიარულისგან ყველა ისე გადაიქანცა, 15
რომ ფხიზლად ყოფნას ვერ შეძლებენ,
არ გამოუვათ.

სებასტიანი

ანტონიოს
ვთქვი, ამაღამ! მორჩა, გათავდა!

*უცნაური, საზეიმო მუსიკა. პროსპერო ზემოდან იცქირება. იქ მყოფთათვის უხილავია.
შემოდან წარმოუდგენელი ფორმის არსებები, ნელა ირხვევიან, ესალმებიან გარშემომყოფთ
და ნადიმის სუფრას გაშლიან. მობრძანდით, მიირთვითო, ანიშნებენ მეფეს
და მის ამაღას და გაქრებიან.*

ალონზო

საოცარი ჰარმონიაა! მეგობრებო, ყური მიუგდეთ!

გონზალო

დიდებული, ტკბილი მუსიკა!

ალონზო

მფარველი ანგელოზები მოგვეცი ზეცავ! ეს რა იყო!

20

სებასტიანი

გაცოცხლებული მარიონეტები! უკვე იმასაც დავიჯერებ,
რომ მარტორქაც მართლა არსებობს, რომ არაბეთში
ერთი ხეა - ფენიქსის ტახტი. აი ახლა, იქ,
ფენიქსი მეფობს!

ანტონიო

მაგ ორივეს მეც დავიჯერებ.

თუ ვინმეს ეჭვი შეეპარა, დაგიდასტურებ!
მოგზაურები არ ტყუიან, მაგრამ სულელ ხალხს
რას დაარწმუნებ!

25

გონზალო

ნეაპოლში, ეს რომ ვუამბო,
იქნება ვინმე, დაიჯეროს, რომ თვითონ ვნახე,
ჩემი თვალით, ამ კუნძულზე, რა ხალხი ცხოვრობს?!
(აქაურები იყვნენ ალბათ, აბა ვინ იყვნენ!).
თითქოს უცნაურ მონსტრებს გვანან, მაგრამ მოჩანან
უფრო კეთილი, მშვიდი, წყნარი, ზრდილობიანი -
უკეთესები, ვიდრე იქ, ჩვენთან რომ არიან.
ზოგიერთები - ან უმეტესი.

30

პროსპერო

თავისთვის

წესიერი ადამიანი!

რა კარგად ამბობ! რამოდენიმე, გვერდით რომ გიდგას,
სატანაზეც უარესია.

35

ალონზო

განცვიფრებას არა აქვს ბოლო!

რა მოძრაობა, რა მიმიკა, და თან ეს ხმები,
არ მეტყველებდნენ, მაგრამ მაინც, ხომ მიგვახვედრეს,
რისი თქმა სურდათ!

პროსპერო

თავისთვის

განცვიფრებას ექნება ბოლო!

ფრანსისკო

გაუჩინარდნენ უცნაურად.

სებასტიანი

ეგ არაფერი, 40
მთავარია, დაგვიტოვეს საჭმელ-სასმელი.
ხომ არ ინებებთ, რომ მიირთვათ?

ალონზო

არა, არ მინდა.

გონზალო

ნუ გეშინიათ, უნდა ვენდოთ. განა ოდესმე, 45
დავიჯერებდით რომელიმე, რომ მთაში ცხოვრობს
ისეთი ტომი, კამეჩივით ჰკიდია კანი,
როგორც ღაბაბი, ნიკაპის ქვეშ? ანდა არსებობს
ადამიანი, ვისაც თავი მკერდზე ეზრდება?
ახლა არავის არაფერი აღარ აკვირვებს.
სულ ვმოგზაურობთ.

ალონზო

კარგი, ვენდოთ, უარს არ ვიტყვი! 50
თუნდაც იყოს ბოლო ვახშამი, რადგანაც ვიცი,
საუკეთესო, რაც გამაჩნდა, წარსულში დარჩა.
მოდით, შენც ძმავო, შენც, ჰერცოგო.
ქეჩა-ქუხილი, ელევა. შემოდის არიელი ჰარპიას სახით.
სუფრის თავზე ფრთას ფრთას შემოჰკრავს და ყველაფერი ქრება.

არიელი

თქვენ სამნი ხართ ცოდვის კაცები. ბედის განგებით 55
(ხომ კარგად იცით, ბედისწერა მართავს სამყაროს)
და ბობოქარი ზღვის წყალობით, ახლა აქა ხართ!
გამოირიყეთ ამ კუნძულზე. უკაცრიელზე.
თქვენი ადგილი ადამიანთა შორის არ არის.
მე თქვენ სამივე გიჟად გაქციეთ, შეშლილებად.

*დაინახავს, რომ ალონზო, სებასტიანი და სხვები
ხმალს იშისვლელებენ.*

ამ შემართებით, შეგიძლიათ თავი მოიკლათ, 60
ჩამოიხრჩოთ, ანდა დაიხრჩოთ. მართლა ბრიყვებო!
ჩვენ ხომ განგების მაცნენი ვართ. რა იარაღი
მოგვეკარება. ჰაერს გაჭრით, როგორ გგონიათ?
ან დააჩნდება, წყალს ოდესმე, თქვენგან იარა?

ჩემი ფრთის ღინღლსაც, ვერასოდეს ვერ შეეხებით. 65
აქ სულელები ვართ თქვენს გარშემო! უვნებლები!
რაიმე ძალაც რომ შეგწევდეთ, არ გამოგივით.

ეგ თქვენი ხმლები ისე დამძიმდა! აბა თუ ასწევთ!
არ შეგიძლიათ! გაიხსენეთ, რა ჩაიდინეთ
(მე დამავალეს, მოგაგონოთ): სწორედ თქვენ, სამმა,

გამოაძევეთ მილანიდან ვინმე პროსპერო,
 პატოსანი ადამიანი. მასთან ერთად პატარა ბავშვიც.
 ზღვაში ისროლეთ. ზღვამაც იცის შურისძიება.
 ზეციურ ძალებს მუდამ ახსოვთ, ვინ რას აკეთებს!
 მთელი სამყარო აგიმხედრდათ. წყალიც, ხმელეთიც.
 არ გელირსებათ არსად სიმშვიდე! ალონზო, შვილი 75
 უკვე დაკარგე! მე თქვენ გიცხადებთ, რომ სატანჯველი,
 ჯოჯოხეთური, ახლა იწყება. სიკვდილს ინატრებთ!
 ყველგან გიპოვით ზეცის რისხვა! ყველგან მოგწვდებათ,
 ამ გადაკარგულ, უშენ კუნძულზეც და გაგამწარებთ!
 თუმცა, ხსნა არის: თუ გულწრფელად მოინანიებთ,
 რაც ჩაიდინეთ, და პატოსნად ივლით შემდეგ 80
 ცხოვრების გზაზე!

*უცებ დაიქუხებს და არიელი ქრება. გაისმის მშვიდი მუსიკა.
 ისევ შემოდინა უცნაური არსებები, ცეკვავენ, დამცინავად
 იქცევიან და მაგიდა გააქვთ.*

პროსპერო

კარგად მოირგე ჰარპიას როლი, ჩემო არიელ.
 რა შთამბეჭდავად გამოხვედი, სუფრაც გააქრე!
 რაც დაგავალე, სიტყვასიტყვით, ზუსტად წარმოთქვი, 85
 არ გამოტოვე არაფერი. შენსავით კარგად
 ითამაშეს დანარჩენებმაც და ბუნებრივად
 შეასრულეს მითითებები, ვინ როგორ შეძლო!
 ავამოქმედე მთელი ძალით ჩემი მაგია.
 მტერი ვინც მყავდა, ჩემს ხელთ არის, გიჟად ქცეული. 90
 ასე, ამ დღეში, ჯერ ცოტა ხნით, დავტოვებ მაგათ.
 ყმაწვილ ფერდინანდს მივაკითხავ, მამას დამხრჩვალნი
 რომ ჰგონია. ჩემს საყვარელ გოგოსაც ვნახავ.

პროსპერო ქრება.

გონზალო

თქვენს წმინდანებს გაფიცებთ სერ, ნუ დგახართ ასე
 გაშტერებული!

ალონზო

ო, ჯოჯოხეთო, ჯოჯოხეთო! 95
 ზღვის ტალღებიც კი ჩამძახიან მე იმის სახელს.
 ქარის ზუზუნში, თუ ქუხილში, სულ ეგ გაისმის!
 გრგვინვა-გრიალით, ორგანის ხმით, ღრმა და საშიში
 ჟღერადობით ისმის 'პროსპერო'! მახსენებს ცოდვას!
 ამის გამო წევს ჩემი ბიჭი შლამიან ფსკერზე! 100
 მეც ჩავეშვები ღრმა მორევში ძირის ძირამდე,
 მასთან დავწვები.

გადის.

სებასტიანი

მთელ ლეგიონს ეშმაკებისას
გავანადგურებ, თითო გამოდით!

ანტონიო

მეც შენთანა ვარ!
ანტონიო და სებასტიანი გადიან.

გონზალო

რა უსასოლო გახდა სამივე. მძიმეა ცოდვა.
შურისძიება ამოქმედდა ნელი შხამივით.
სულში შევიდა საწამლავი. დროს ნუ დაკარგავთ,
უკან გაჰყევით. მაგათ ჭკუა არ ეკითხებათ.
თავგზა აებნათ. შეშლილები რას ჩაიდენენ,
არავინ იცის.

105

ედრიენი

თქვენც წამოგვევით, ძალიან გთხოვთ
გადიან.

მეოთხე მოქმედება

სურათი I

*პროსპეროს გამოქვაბულთან.
შემოდინ პროსპერო, ფერდინანდი და მირანდა.*

პროსპერო

ვიცი, სასჯელი მეტისმეტად სასტიკი იყო,
მაგრამ სანაცვლოდ რაც მიიღე, ის ამაღ ღირდა.
ხელში მოგეცი საკუთარი სიცოცხლის ძაფი,
ანუ რისთვისაც ვარსებობდი, შენ გადმოგეცი.
ამიერიდან შენი არის. დიდხანს გაწვალე,
რადგან მინდოდა სიყვარულში გამომეცადე.
ხომ გაუძელი ამ გამოცდას. ამიტომ ვამბობ,
ზეცის წინაშე, ეს საუნჯე დაიმსახურე.
ნუ გელიძემა, ო, ფერდინანდ, ასე რომ ვაქებ
მე ჩემს გოგონას. მიხვდები რომ, ვიდრე გგონია,
იმაზე ბევრად უკეთესია.

5

10

ფერდინანდი

ეგ ზუსტად ვიცი.
აზრს ორაკულიც ვერ შემიცვლის.

პროსპერო

სწორედ ამიტომ საჩუქარიც დაიმსახურე.
ღირსი ხარ მისი. წაიყვანე ჩემი ასული.
ერთი პირობით: არ შეეხები მის სიქალწულს,
ვიდრე ბოლომდე, სრულყოფილად, არ ჩაატარებთ
წმინდა რიტუალს ქორწინების. თორემ სხვაგვარად
ცოლ-ქმრის კავშირი დალოცვილად არ ჩაითვლება
და ზეცისაგან მონიჭებულ სიამის ნაცვლად,
თქვენს სარეცელზე უნაყოფობის მწარე განცდა
დაისადგურებს. ზიზღი, შფოთვა, ფესვებს გაიდგამს.
თქვენ ერთმანეთი შეგძულდებათ. უცადეთ, ვიდრე,
ჰიმენეოსი აგინთებთ ლამპარს!

15

20

ფერდინანდი

იმედი მაქვს,
რომ გველოდება ბედნიერი, მშვიდი ცხოვრება,
ღრმა სიბერემდე. გვეყვარება ჩვენ ერთმანეთი,
როგორც დღეს გვიყვარს. ვერ აღმიძრავს ბიწიერ გრძნობას
ვერც ბნელი კუთხე, ვერც ცდუნება ეშმაკეული.

25

ეს დიდებული სიყვარული არც ჟინი არის,
არც უხამსობა. არ მეღირსოს მე სიხარული,
ფეხოსის რაშებს თუ დავაკოჭლებ, ან გათენება
მომდეგნო დღის, თუ დავაყოვნე. 30

პროსპერო

პასუხი მომწონს.

ახლა დასხედით, ისაუბრეთ. ის შენ გეკუთვნის, -
არიელ, სად ხარ! ჩემო ერთგულო! არიელ, მოდი!
შემოდის არიელი.

არიელი

აქ გახლავარ! რას მიბრძანებთ ჩემო ბატონო!

პროსპერო

შენც, სხვა სულებმაც, დავალება, ბოლოს რაც გქონდათ,
წარმატებით გაითამაშეთ. ისევ მჭირდება 35
რალაც ამგვარი წარმოდგენა. ახლა სასწრაფოდ
მოუხმე ყველას, ვინც მოგეცი მორჩილებაში.

უთხარი, უნდა მოინდომონ. რადგან ვაპირებ
ახალგაზრდა წყვილს აქ მოვუწყო სანახაობა. 40
მინდა ვუჩვენო, რა ძალას ვფლობ! მე მათ შევპირდი
და ისინიც ელოდებიან.

არიელი

ახლა, ამ წუთას?

პროსპერო

ვიდრე მე თვალს დავახამხამებ!

არიელი

ვერც კი მოასწრებ, თქვა „მოდი“, „წადი“,
ამოისუნთქო ან ჩაისუნთქო, 45
რომ ყველანი აქ გაჩნდებიან
და მანჭვა-გრეხას შეუდგებიან.
გიყვარვარ, ბატონო? თქვი, ჰო თუ არა!

პროსპერო

ძალიან, ჩემო კარგო არიელ! დამახილზე
უცებ გამოჩნდი.

არიელი

ყველაფერი გასაგებია!
გადის. 50

პროსპერო

სიტყვას არ გატეხ, იმედია. ვნებათაღელვამ
არ დაგიმონოს. შესაძლოა სისხლის დუდილმა
მტკიცე ფიციც კი, აღმოდებულ ჩალად აქციოს.
მაშინ, მშვიდობით დაპირება!

ფერდინანდი

მე თქვენ გარწმუნებთ,
თოვლის ნამქერმა, თეთრმა, ცივმა, გული დაფარა
და ჩააჩუმა მფეთქავი ღვიძლი. 55

პროსპერო

ძალიან კარგი!
დროა, არიელ, მოიყვანე შენი ლაშქარი!
მინდა რომ, ბევრზე, ბევრნი იყვნენ. გამოჩნდით, სწრაფად!
ჩქამიც არ გაკრთეს! უცქირეთ და სრული სიჩუმე!
*ნაზი, მელოდირი მუსიკა.
ნიღბები. შემოდის ირისი.*

ირისი

ცერერა, ჩვენო ქალბატონო, - ბარაქიანი 60
შენი ყანები, ჭვავის, ქერის, ხორბლის, მუხუდოს;
მთის მწვანე კორდი, ლაღად რომ შლი, ცხვრების საკვებად;
ვრცელი მინდვრები, ავსებული თივის ბალახით;
ზღვის ნაპირები, სადაც ციცქნა, ფერად ყვავილებს
მკაცრი აპრილი შენი თხოვნით სათუთად უვლის, 65
რათა ნიმფებმა იქ ლამაზი გვირგვინი დაწნან;
მყუდრო ჭალები, ჩრდილიანი - გულგატეხილ
მიჯნურთ სავანე; ვენახები, კარგად აბმული;
მიუვალი, სალი კლდეები, ზღვას რომ ჩასცქერენ,
რაც ასე გხიბლავს სანავარდოდ, ციურ ქალღმერთის 70
ნება-სურვილით - რომლის თალი და შიკრიკი ვარ! -
უნდა დასტოვო და მოხვიდე! ჩვენი ქალღმერთი
აქ, ამ მდელოზე მობრძანდება. აი, გამოჩნდნენ,
ეტლში შებმული, მისი ჭრელი ფარშევანგები.
მოდი, ცერერა, გართობისთვის ხარ მოხმობილი. 75
შემოდის ცერერა.

ცერერა

ჩემი სალამი შვიდფერა შიკრიკს, რომელიც მუდამ
ასე ერთგული ეყოლება ცოლს იუპიტერის!
ზაფრანისფერი, ნაზი ფრთებით, ჩემს ვრცელ მდელოებს,
ეს შენ აპკურებ, თაფლივით ტკბილ, ჟუჟუნა წვიმას.
ლაჟვარდოვანი თალის გვირგვინით შენ ალამაზებ 80
ჩემს მწვანე ტყეებს და ბუჩქნარებს. როგორც თავშალი,

ისე ეხვევი, დედამიწას. მითხარი, შენმა
დედოფალმა მე, ამ მდელოზე, რისთვის მომიხმო?

ირისი

რომ ვიზეიმოთ მიჯნურების შეკავშირება.
უნდა მივუძღვნათ გულითადი ჩვენ საჩუქარი
შეყვარებულებს.

85

ცერერა

ცის სარტყელო, ისიც მაუწყე,
ხომ არ იქნება ან ვენერა, ან ვაჟი მისი,
შენი დედოფლის ამაღლაში? ეგ დედა-შვილი
არ დაეხმარა იმ ბნელ პლუტონს, ჩემი გოგონას
გატაცებაში? არც დედა და, არც ის ბრმა ბიჭი,
არ დამანახოთ!

90

ირისი

არ იქნება. შენ ფიქრი ნუ გაქვს.
რომ მოვდიოდი, ქალბატონი გზაზე შემომხვდა.
ღრუბლებს მიაპობს იგი ახლა პაფოსისაკენ.
შვილიც, მტრედებით, უკან მიდევს. იმათ ეგონათ,
რომ ახალგაზრდებს აცდუნებდნენ, მაგრამ ამ წყვილმა
უმანკოება სარეცელის, ფიცით დაიცვა.
ელოდებიან ჩირაღდნის შუქს, ჰიმენეოსის!
მარსის ღმერთქალი შინ მიფრინავს. მისი ბიჭი კი,
ისრებს ამტვრევდა. სულ დალეწა. აღარ ვისვრიო,
ვითამაშებო ბელურებთან. ჩვეულებრივი
ბიჭი გახდა .

95

100

ცერერა

უზენაესი დედოფალი,
დიდი იუნონა მობრძანდება. ნაბიჯებზე ვცნობ!
შემოდის იუნონა.

იუნონა

სალამი დაო, შენ სიუხვის მიმნიჭებელო!
როგორ გიკითხო. გამომყევი. წყვილი დავლოცოთ.
უნდა ვუსურვოთ კეთილდღეობა, ლაღი ცხოვრება.

105

სიმღერა

იუნონა

ხვავი, ბარაქა, ბედნიერი დაქორწინება!
დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და გამრავლება!
არ მოგკლებოდეთ სიხარული, მხიარულება!

ეს სიმღერაა იუნონას ლოცვა-კურთხევა!

ცერერა

ნაყოფიერი მიწის მადლით სავსე ნალია
და მოწეული ჭირნახული მუდამ ბედელში. 110

დიდი მტევნებით დახუნძლული გრძელი ვენახი,
ხილის სიმძიმით დაშვებული დაბლა ტოტები.
ამინდი გქონდეთ სულ ისეთი, როგორც ინატრებთ,
ვიდრე მოსავალს საიმედოდ დააბინავებთ. 115
არასდროს ნახოთ გაჭირვება ან სიღარიბე!
ცერერასაგან თქვენ კურთხევა ასე მიიღეთ!

ფერდინანდი

რა ჯადოსნური სანახავი! რა ჰარმონია!
მოხიბლული ვარ! თავს ნება მივცე, გავიფიქრო -
რომ სულელებს ვხედავ?!

პროსპერო

ჰო, სულეზია. 120
ჩემი ძალებით გამოვიხმე, რომ ფანტაზიას
ხორცი შევასხა.

ფერდინანდი

სამუდამოდ აქ მსურს დარჩენა!
ასეთი მამა, საოცარი და ყოვლისშემძლე,
აქაურობას სამოთხედ აქცევს!
იუნონა და ცერერა ჩურჩულებენ.
ირისს რაღაც დავალებას აძლევენ.

პროსპერო

უნდა გაჩუმდე!
ნახე, იუნონა იქ ცერერას ეთათბირება. 125
კიდევ რაღაცას აპირებენ. კრინტი არ დამრა,
თორემ მაგია ძალას დაკარგავს!

ირისი

ნაიადებო, ფერიებო, ნაკადულებში
მოჩურჩულენო, ისლის გვირგვინით დამშვენებულნო,
ამოდით წყლიდან, მწვანე კორდზე და მიაპყართ
უმანკო მზერა იუნონას. იგი თქვენ გიხმობთ. 130

მოდით, ნიმფებო, ეს ჭეშმარიტი სიყვარული
უნდა დალოცოთ. დროზე მოდით, ნუ აგვიანებთ!
შემოდის რამოდენიმე ფერია.
თქვენც, მომკვლებო, აგვისტოს მზით გარუჯულებო,
საქმეს შეეშვით, ჩვენთან ერთად იმხიარულეთ, 135

დაისვენეთ, ჩალის ქუდები დაიხურეთ,
ხელი ჩაჰკიდეთ წყლის გრილ ფერიებს
და შეუერთდით საერთო ფერხულს!

*შემოდინ მომკვლავი, როგორც უბრძანეს, ისე იქცევიან.
ფერიებთან ერთად ულამაზეს როკვაში ერთვებიან.
უცებ პროსპერო რაღაცას წამოიძახებს და სულები აიშლებიან.
გაურკვეველი ხმების ფონზე იფანტებიან.*

პროსპერო

თავისთვის

სულ დამავიწყდა, იმ ბოროტებს რა განზრახვა აქვთ!
ცხოველ კალიბანს, ამფსონებით, ჩემი მოკვლა სურს!
მაგ ჩანაფიქრის დრო საცაა მოახლოვდება.
აქეთ მოდიან.

140

სულებს

ყოჩად! კმარა! ყველანი წადით!

ფერდინანდი

უცნაურია, დაემართა რაღაც მამაშენს.
რატომ შეშფოთდა ასე ძლიერ.

მირანდა

ნერვებმოშლილი,
განრისხებული. ასეთ მამას, პირველად ვხედავ.

145

პროსპერო

შენ, ჩემო ბიჭო, მეჩვენები ალელვებული.
თითქოს იმედი გაგიცრუვდა. გამხიარულდი.
სანახაობა უკვე მორჩა. მსახიობები,
როგორც გითხარი, სუყველანი სულები იყვნენ.
ჰაერად იქცნენ, ლანდებივით გაუჩინარდნენ.
ასე გაქრება ყველაფერი, როგორც ეს ხილვა,
ცამდე ამყად აღმართული ციხე-კოშკები,
უბრწყინვალესი სასახლეები, დიდი ტაძრები,
თვით დედამიწაც, ის სამყაროც, რასაც ჩვენ ვხედავთ.
მოჩვენებითი კარნავალი გაიფანტება,

150

155

კვალს არ დატოვებს. მატერია ვართ, სიზმრისეული.
ასე ვარსებობთ. ეს ხანმოკლე ჩვენი სიცოცხლე -
წუთისოფელი - ძილითაა გარემოცული.
ახლა ავღელდი. მომიტევოთ უნდა სისუსტე,
მოხუცი ტვინი დაუძლურდა. თქვენ არ იდარდოთ.
მღვიმეში შედით, მოისვენეთ, ასე აჯობებს.
ცოტას გავივლი შორი-ახლოს. უკეთ გავხდები,
დავაშოშმინებ აშლილ ფიქრებს.

160

ფერდინანდი, მირანდა

სიმშვიდე თქვენს სულს!
გადიან.

პროსპერო

ფიქრის სისწრაფით გამოცხადდი! მოდი არიელ!
შემოდის არიელი.

არიელი

ფიქრში დაგყვები! რას მიბრძანებთ?

პროსპერო

ერთგულო სულო, 165
ჩვენ ახლა უნდა მოვემზადოთ, კალიბანს დავხვდეთ!

არიელი

ვიცი, ბატონო. როცა ცერერას ვთამაშობდი,
ეგ გამახსენდა, და მაშინვე, მინდოდა მეთქვა,
მაგრამ გავჩუმდი, არ გაბრაზდეს-თქო.

პროსპერო

გამიმეორე, სად დატოვე არამზადები. 170

არიელი

როგორც გითხარი, მეტისმეტად მთვრალეები იყვნენ.
ამისგან ისე გათამამდნენ, ჰაერს სერავდნენ,
ნიაჟი რატომ გვიბერავსო. მიწას წიხლავდნენ,
როგორ ბედავთო, ფეხზე კოცნას! თან მოდიოდნენ,
მაგ საქმისათვის. მე უეცრად ჩემს დოღზე დავცხე. 175

უნდა გენახათ, უპატრონო საქონელივით,
ყურები ცქციტეს, თვალი დაჭყიტეს, ცხვირი აბზიკეს.
მუსიკამ ისე მოაჯადოვა, უკან გამომყვნენ.

შევიტყუე ეკალ-ბარდებში, ასკილებში,
ჯოჯო ბალახში. დაიჩხვლიტნენ და დაიკაწრნენ. 180
მთელი წვივები დაფარული ჰქონდათ ეკლებით.
ბოლოს დავტოვე აქვე ახლოს, დამპალ ჭაობში,
იმათ ფეხებზე უარესად აყროლებულში.
ისევ იქ ხტიან.

პროსპერო

ეგ კარგია. ყოჩაღ, ჩიტუნა!
კვლავ უხილავი უნდა იყო შენ ჯერჯერობით. 185
ჭრელი სამოსი მომიტანე ჩემი მღვიმედან.
სატყუარა სჭირდებათ ქურდებს.

არიელი

უკვე მივდივარ!
გადის.

პროსპერო

არა, ნამდვილი სატანაა, დაბადებიდან.
აღზრდა ბუნებას ვერ შეუცვლის. როგორ ვცდილობდი!
სულ ფუჭი იყო ჩემი შრომა, რისთვის ვიწვალე!
ასაკთან ერთად, მახინჯდება უფრო და უფრო!
ტვინიც გაეხრწნა! ოხ, რას ვუზამ, მაგათ სამივეს!
სულ მაღალ ხმაზე ვაღრიალებ!

190

შემოდის არიელი. შემოაქვს ბრჭყვიალა ტანისამოსი.

აქ გადაკიდე!

პროსპერო და არიელი უხილავი არიან.

შემოდინ კალიბანი, სტეფანო და ტრინკულო, გალუმპულები.

კალიბანი

ჩუმად იარეთ. შეეცადეთ, ნაბიჯების ხმა
თხუნელამაც რომ არ გაიგოს. უკვე ახლოს ვართ.

195

სტეფანო

ურჩხულო, ხომ თქვი, ფერიები არ გვერჩიანო?
ნახე რა გვიქნეს უწყინარმა შენმა სულეებმა!
ეს რა დღეში ვართ!

ტრინკულო

ურჩხულო, ცხენის შარდის სუნი მცემს! და ეს,
ჩემს ცხვირს არ სიამოვნებს.

200

სტეფანო

არც ჩემსას! გესმის, ურჩხულო, რას გეუბნები?!
თუ გაგიბრაზდი, მაშინ მიყურე.

ტრინკულო

ჰო, შენი საქმე წასულია.

კალიბანი

ჩემო კეთილო ბატონო, გთხოვ არ გაბრაზდე.
ცოტაც მოითმინე და სულ მალე ისე გაგახარებ,
ყველაფერი დაგავიწყდება. უხმოდ ვიაროთ.
მიჩუმებულან, ისე თითქოს, ჯერ არ გათენდა!

205

ტრინკულო

აუ, ბოთლები როგორ დავკარგეთ იმ ჭაობში -

სტეფანო

ნამდვილად დიდი სირცხვილია, ურჩხულო, და
თანაც, აუნაზღაურებელი დანაკარგია!

210

ტრინკულო

ჩემთვის ეგ იმაზე უარესია, ვიდრე წყალში ჩავარდნა!
აი, შენი კეთილი სულები, ურჩხულო.

სტეფანო

ჩემს ბოთლს იქიდან მაინც ამოვიღებ, თუნდაც
ყურებამდე ჩამითრიოს ჭაობმა.

კალიზანი

ჩემო ხელმწიფე, დაშოშმინდი. ხედავ? აქ არის
იმის მღვიმეში შესასვლელი. ჩუმად შედი.
ჯერ ერთი კარგი ცუდი საქმე და ეს კუნძული
შენი გახდება სამუდამოდ. და მეც, შენი კალიზანი
სულ ფეხისმლოკავი გეყოლები.

215

სტეფანო

მომეცი ხელი. თავში უკვე სისხლიანი ფიქრები
მეწყება.

220

ტრინკულო

ო, მეფე სტეფანო! ო, დიდებულო! ო, ღირსეულო სტეფანო!
შეხედე, რა სამოსელია აქ შენთვის!

კალიზანი

მონძებია, თავი გაანებე, სულელო!

ტრინკულო

შე მართლა ურჩხულო, მონძებია თუ არა,
ეგ ჩვენ ვიცით. ო, მეფე სტეფანო!

225

სტეფანო

ახლავე გაიხადე, ტრინკულო! ეგ ხალათი
მე უნდა მეცვას.

ტრინკულო

ინებეთ, თქვენო უდიდებულესობავ!

კალიზანი

ჭირმა წაგიღოს სულელო! რას აკეთებ!
რა ჯანდაბად გინდა ეს ხარახურა, ხელი გაუშვი!

230

მიდი, დროზე მოკალი, თორემ, თუ გაიღვიძა,
თავიდან ფეხამდე ტყავს გაგვამრობს და არ იცი,
რას დაგვამსგავსებს!

სტეფანო

დაწყნარდი ურჩხულო! ქალბატონო ბაწარო, ეს კურტაკი
ჩემი ხომ არ არის? აი, ჩამოვიდე, უი, კურტაკი ეკვატორის
ქვეშ მოექცა. თმის ცვენა დაგეწყო კურტაკო? მალე
მელოტი კურტაკი იქნები!

235

ტრინკულო

მიდი, მიდი. ბაწრის ხაზს მივყვეთ და წესით და რიგით
ვიქურდოთ, მის უდიდებულესობას ასე უფრო ეამება!

240

სტეფანო

გმადლობ ოხუნჯობისთვის. აჰა, მაგისტვის ეს
შენი იყოს. ვიდრე ამ ქვეყნის მეფე მე ვარ, ყველა
დაჯილდოვდება. „წესით და რიგით ვიქურდოთ“,
კარგად თქვი. აჰა, ესეც, ამისთვის.

ტრინკულო

ურჩხულო, მოდი და რაც აქ დარჩა, აიღე შენთვის,
შენი მარჯვე ხელებით.

245

კალიბანი

არაფერსაც არ ავიღებ. დროს ტყუილად ვკარგავთ.
მალე ან მოლუსკებად ვიქცევით ან ისეთ მაიმუნებად,
საზიზღარი ვიწრო შუბლი რომ აქვთ.

სტეფანო

ურჩხულო! გაანძრე ხელი! მომეხმარე, ეს ყველაფერი
იქ მივიტანო, სადაც ღვინის კასრებია, თორემ გაგამეგებ
ჩემი სამეფოდან. მიდი, წაიღე.

250

ტრინკულო

ესეც!

სტეფანო

და ესეც!

*გაისმის მონადირეთა შეძახილები. შემოდინ
სულები, ძაღლებად ქცეულები ამათ გამოედევნებიან.
პროსპერო და არიელი უქსევენ.*

პროსპერო

მიდი, მაუნთინ, ეცი!

255

არიელი

სილვერ, გარბის! არ გაუშვა, მიდი!

პროსპერო

აგე, აგე! *ფიური*, იქ არის! *ტირან*, არ გაგეცეს! სწრაფად!

კალიბანი, სტეფანო და ტრინკულო გარბიან.

წადი, ჩემს გობლინებს უთხარი, მაგათ სახსრები დაუკრუნჩხონ, ძარღვები დაუჭიმონ. ისე დაკაწრონ და აუჭრელონ მთელი სხეული, როგორც ლეოპარდს ან ველურ კატას აქვს.

260

არიელი

გესმით, როგორ ყვირიან!

პროსპერო

უთხარი, დევნა არ შეწყვიტონ. ჩემს მტრებს მივხედავ.,

ყველა აქ არის, ჩემს ხელშია და სადაცაა,

რაც ასე მსურდა, ასრულდება. შენ ინავარდებ

შენთვის გემოზე, თავისუფლად. სულ ცოტა დარჩა.

წამომყევი, ჯერ კვლავ მჭირდება.

გადიან.

265

მეხუთე მოქმედება

სურათი I

*პროსპეროს გამოქვაბულთან.
შემოდის პროსპერო, ჯადოსნური მოსასხამით და არიელი.*

პროსპერო

რაც ჩავიფიქრე, ყველაფერი მალე ახდება.
ძალა ჯერ მყოფნის, სულელებს ვმართავ. დრო არ ჩერდება,
მიდის, მიაქვს თავისი ტვირთი. ნეტავ რომელი საათია?

არიელი

ექვსი დაიწყო. შენ თქვი, საქმეს, ზუსტად ექვსისთვის
დავასრულებთო. ასე არ იყო?

პროსპერო

დიახ, ასე ვთქვი,
როცა ავტეხე ქარიშხალი. ჩემო არიელ,
მეფე რას შვება თავის ამალით?

5

არიელი

გრძნებით შეკრულნი,
დგანან ადგილზე. ისე არიან, როგორც დატოვე,
და იქნებიან, ვიდრე ჯადო არ მოეხსნებათ.
იმ ხეივანში, შენს მღვიმეს რომ, ქარისგან იცავს.
გაშეშებულნი დარჩებიან. სამივე: მეფეც,
მისი ძმაც, შენიც, შეშლილებად გადავაქციე.
დანარჩენები შესცქერიან გაოგნებულნი,
დამწუხრებულ-შეშინებულნი. განსაკუთრებით,
ერთი მოხუცი, რომ უწოდებ კეთილ გონზალოს.
ცრემლი უწყვეტად მოსდის წვერზე, ნაკადულივით,
ვით ზამთარში სახურავს ისლის. დიდი ძალა აქვს
შენს ჯადოქრობას. რომ განახა, აკმარებდი და,
შეიწყალებდი.

10

15

პროსპერო

ჩემო სულო, მამ ასე ფიქრობ?

არიელი

ასე ვიზამდი, შენს ადგილას.

პროსპერო

ჰო, ასე ვიზამ. 20
შენ ხარ ჰაერი, მაგრამ მაინც, მათ თანაუგრძნობ,
გებრალეზიან. მე, რომელიც, მათი მოდგმის ვარ,
და ყველა გრძნობა, ცუდიც, კარგიც, მათნაირი მაქვს,
არ გამოვიჩენ, როგორ ფიქრობ, გულმოწყალებას?
მძიმე ცოდვა აქვთ. სასჯელს ითხოვს დანაშაული . 25
მაგრამ გონება აშოშმინებს ჩემში ამ რისხვას.
ო, რა რთულია მიტევა! და რა იოლი,
შურისძიება! თუ გულწრფელად მოინანიეს -
ეს მინდა მოხდეს - დავივიწყებ იქვე ყველაფერს.
ახლა კი, დროა, ჯადოს მოვხსნი. წადი არიელ, 30
თავისუფლება მიანიჭე. მე დავაბრუნებ,
ძველებურად, სად გონებაზე.

არიელი

აქ წამოვიყვან.
გადის.

პროსპერო

ნაკადულების, ტბების, მთების, ციცქნა ელფებო,
არასდროს ტოვებთ სველ ქვიშაზე თქვენს ნატერფალებს
უკუქცევისას ნეპტუნს რომ მისდევთ, არც მაშინ, როცა, 35
უკან მორბიხართ. მთვარის შუქზე, თოჯინებივით
ცეკვავთ და გიყვართ, ბალახების წრეებად სრესა.
მაგ ადგილს ცხვარი რატომღაც არ ძოვს. იმით ერთობით,
რომ სოკოს გაზრდით, ერთ ღამეში. გამხიარულებთ
ზარის წვრიალი, ცეცხლის ქრობის მაუწყებელი. 40
თქვენ მე მშველოდით (თუმცა ძალა დიდი არა გაქვთ),
როდესაც ბინდი შუადღის მზეს გადავაფარე,
შეშლილი ქარი გამოვიხმე, ავტეხე ომი
ყალყზე შემართულ მწვანე ზღვასა, და ლაჟვარდოვან
კამარას შორის. ჭექა-ქუხილს შევუნთე ცეცხლი, 45
უფრო ხმამაღლა რომ ეგრუხუნა. იუპიტერის
მუხა გავხლიჩე მისივე მეხით. შევაზანზარე
კონცხი მთლიანად, როცა მოვგლიჯე ფიჭვი, კედარი.
ჩემი ბრძანებით, აკლდამებმა დააღეს პირი,
ფეხზე წამოდგნენ, გამოვიდნენ მიცვალებულნი. 50
ახლა, უსაზღვრო, დიდ ძალაზე მსურს უარი ვთქვა!
აჟღერდეს ჰანგი ღვთაებრივი (ჯერ შემძლია)!
მათი გონება ჯადოსაგან რომ განიწმინდოს

და დავამთავრებ ასე მისნობას! ჩემს ჯოხს, სიმბოლოს
ძალაუფლების, დედამიწის გულში ჩავმარხავ. 55
წიგნებს ჩავძირავ, ზღვის მორევში, ისეთ სიღრმეზე,
ვერაფერი რომ ვერ ჩაწვდება.

საზეიმო მუსიკა.

*შემოდის არიელი. შემდეგ ალონზო, გონზალოსთან ერთად.
სებასტიანი და ანტონიო, რომლებიც ალონზოს მსგავსად გიჟებს ჰგვანან,
ედრიენის და ფრანსისკოს თანხლებით მოდიან. ყველანი შევლენ წრეში,
რომელიც პროსპერომ მოხაზა და მოჯადოებულნი დგანან.
პროსპერო მათ თვალს არ აშორებს და ამბობს:*

ეს დიდებული მელოდია, სულის მალამო,
მაგ არეულ ტვინს დაგვიამებთ, ახლა უაზროდ 60
რომ გიდულთ თავში. გაუნძრევლად დგახართ ადგილზე,
გრძნეულებით შებოჭილები!

წმინდა გონზალო, კეთილშობილო ადამიანო,
მეც ამიცრემლდა უკვე თვალები, რადგან შენ ტირი!
ჯადოს ნელ-ნელა ეცლება ძალა. როგორც რიჟრაჟი
შეეპარება მრუმე ღამეს და ფანტავს წყვილიადს, 65
ისე ნათდება დაბინდული მათი გონება.

თანდათანობით, ამოუხსნელს, იცილებს ბურუსს
და იწმინდება. ჩემო კეთილო, კარგო გონზალო,
მე შენ მიხსენი. მასაც გულით ემსახურები,
ვის გვერდითაც ხარ. სათანადოდ მოგაგებ პატივს, 70
სიტყვით და საქმით. შენ კი, ალონზო, მე და ჩემს შვილს,
უსასტიკესად მოგვეპყარი. შენი ძმა შენზე
უარესია! სებასტიან, ამის გამოა,

რომ დაისაჯე! ანტონიო, ჩემი ღვიძლი ძმა!
სისხლი და ხორცი! ამბიციამ არც სიბრალული, 75
არც სინდისი არ დაგიტოვა. სებასტიანთან
(ყველაზე მძიმე ეს ცოდვაა, რაც ჩაიდინე!)
პირი შეკარი, აპირებდით, მეფე მოგეკლათ.
მე მოგიტევებ, თუმცა ამის ღირსი არა ხარ.

გონზე მოდიან. გადარეცხავს სუფთა დინება 80
ატალახებულ, ჭუჭყიან ნაპირს. ვერ გამოერკვნენ,
ჯერ გონება არ დაულაგდათ. ისე მიცქერენ,
არცერთი არ მცნობს. არ იციან მე აქ ვინა ვარ.
არიელ, უნდა მომიტანო ქუდი და დაშნა,

არიელი გადის.

მოვიკაზმები ძველებურად. ისეთს მნახავენ, 85
როგორც ოდესღაც მილანიდან დამიმახსოვრეს.
სწრაფად არიელ. მალე გაგიშვებ!

*არიელი შემოდის. პროსპეროს მოკაზმვაში ეხმარება
და თან მღერის.*

არიელი

ფუტკართან ერთად ვიგემებ ნექტარს,
ფურისულაში წამოვგორდები,
ჭოტის კივილზე ძილს მივეცემი. 90
მიყვარს გაფრენა დამურას ფრთებით,
ზაფხულს ხალისით გავეკიდები.
და ონავრულად ყველა ხის რტოზე
ყვავილთან ერთად დავეკიდები.

პროსპერო

რა ტკბილი ხარ, ჩემო არიელ! მომენატრები! 95
სხვა გზა არა მაქვს, უნდა მოგცე თავისუფლება! -
ახლა უჩინრად მეფის გემი მოინახულე,
იქ მეზღვაურებს ჯერ ისევ სძინავთ.
გამოაღვიძე კაპიტანი, მერე ბოცმანი
და ორივენი წამოიყვანე. 100
უნდა იჩქარო, ძალიან გთხოვ.

არიელი

ერთს ჩავისუნთქავ და აქ გავჩნდები,
ვიდრე მაჯაზე მეორე დარტყმას გაიგონებ.
გადის.

გონზალო

თუ რამ არსებობს სატანჯველი ან სასწაული,
ერთად შეყრილა ამ კუნძულზე! ციურნო ძალნო,
საშინელ ადგილს გაგვარიდე. 105

პროსპერო

ბატონო მეფევ!
პროსპერო ვარ, გაძევებული გრაფი მილანის.
რომ დაგარწმუნო, ცოცხალს მხედავ და რეალურად
გესაუბრები, მოგეხვევი, ამის დასტურად.
გულით გიცხადებ შენც და სხვებსაც, კეთილი იყოს
აქ მობრძანება! 110

ალონზო

მე არ ვიცი, შენ ხარ თუ არა!
იქნებ დაბრუნდა მოჩვენება, წედან რომ იყო,
ცდილობს ხელახლა გამაგიჟოს! როგორ გავიგო!
პულსი მართლა ცემს. ხორციელი ხარ. აი, გიყურებ,
გონზე მოვდივარ. თავში აზრები მერეოდა. 115
მგონი გავგიჟდი. მეც არ ვიცი, რა დამემართა!
თუ ცხადად ხდება, რასაც ვხედავ, უცნაურია.

პატიებას გთხოვ, უარს ვამბობ, შენს სამეფოზე!
მაგრამ არ მესმის: როგორ, პროპერო ცოცხალია
და თან აქ არის?!

პროსპერო

მე მინდა ჯერ, თუ ნებას მომცემ,
შენ მოგეხვიო ჩემო მოხუცო. იმ დიდ სიკეთეს
ვერ შევეუწონი სრულად ვერაფერს.

120

გონზალო

ეს მართლა ხდება,
თუ რა ხდება? სულ დავიბენი!

პროსპერო

თქვენ იმდენი რამ
მოგეჩვენათ აქ, ამ კუნძულზე, უკვე სიმართლეს
ვეღარ იჯერებთ. მეგობრებო, მოგესალმებით.
აი თქვენ კი, პატივცემულნო, რა მინდა გითხრათ,
სებასტიანს და ანტონიოს, ჩუმად
მე შემიძლია დავამტკიცო თქვენი ლაღატი,
რის გამოც მეფე განრისხდება, თუმცა ჯერჯერობით
არაფერს ვიტყვი.

125

სებასტიანი

თავისთვის
ამას ეშმაკი ალაპარაკებს

პროსპერო

არა! -
ყველაზე დიდო არამზადა, არც კი ვიკადრებ
რომ ძმა გიწოდო! მოგიტევებ უმძიმეს ცოდვებს,
ყველას, უკლებლივ. სანაცვლოდ ვითხოვ მე ჩემს ტიტულს
შენ რომ წამართვი. კარგად ვიცი, არ გინდა დათმო,
მაგრამ მოგიწევს!

130

ალონზო

თუ შენ ნამდვილად პროსპერო ხარ,
მაშინ გვიამბე, დაწვრილებით, როგორ გადარჩი.
აქ როგორ მოხვდი. სამი საათი არც გასულა,
რაც ქარიშხალმა გამოგვრიცა ჩვენ ამ კუნძულზე,
სადაც დავკარგე (მე გულს მიკლავს ამაზე ფიქრი!)
მვირფასი შვილი, ფერდინანდი.

135

პროსპერო

სამწუხაროა.

ალონზო

ვერ ვეგუები, აღარა მყავს! მოთმინებამ თქვა,
უძლური ვარ, ვერ გიშველიო!

140

პროსპერო

რატომდაც ვფიქრობ,
არ გითხოვია, მიშველეო. გულმოწყალებით
მომეკიდა, როცა დავკარგე, მეც შენსავით.
მან დამაწყნარა, დამამშვიდა.

ალონზო

შენ ვინ დაკარგე?

პროსპერო

ისე ძვირფასი, როგორც შენი! თანაც ახლახან.
მე უფრო მიჭირს განუგემო, ვიდრე პირიქით.
შენსავით სული არასოდეს დამიმშვიდდება.
ქალიშვილი დაკვარგე ჩემი!

145

ალონზო

შენი გოგონა?

ოი, ზეცაო, ორივე რომ ცოცხალი იყოს
და ნუაპოლში იყვნენ მეფე და დედოფალი!
ნეტავ მე ვიწვე ახლა ლაფში, შლამიან ფსკერზე,
შვილის მაგივრად! სად დაკარგე შენ შენი შვილი?

150

პროსპერო

ამ ქარიშხალში. ცოტა ხნის წინ. ეს ბატონები
ჩემთან შეხვედრას არ ელოდნენ. ისე გაოცდნენ,
ისე დაიბნენ, არ იციან როგორ მოიქცნენ,
არც თავის თვალებს უჯერებენ. არც სიმართლის სწამთ.

155

ჰო, მართალია, გონებაზე მართლაც ვერ იყვნენ.
სიტყვებს ისმენენ, და არ ესმით. დამიჯერეთ,
მე ვარ პროსპერო, მილანის გრაფი, გაგდებული
ჩემი ქვეყნიდან. უცნაურია, მაგრამ გადავრჩი.

160

ვარ ამ კუნძულზე. ქარიშხალმა აქ გამოგრიყათ.
კუნძული ჩემი სამფლობელოა. სულ ეს არის
მთელი ამბავი. რომ გაამბოთ ამაზე წვრილად,
ბევრი დრო უნდა, არ გამოვა ერთი შეხვედრით.
ვერც საუზმის დროს მოვახერხებ. შემობრძანდით!
ჩემი სასახლე ეს მღვიმეა. მსახურნი არ მყავს.
არავინ ცხოვრობს ჩემს გარშემო. გთხოვ, შემოხვიდე,

165

რაკი მილანი დამიბრუნე და კვლავ ჩემია,
საუკეთესო რამეს მოგცემ ამის სანაცვლოდ.
ვიცი, ძალიან განცვიფრდები და გაგახარებს,
ზუსტად ისევე, როგორც მე ვარ გახარებული.

170

*იხსნება გამოქვაბულში შესასვლელი და გამოჩნდებიან ფერდინანდი
და მირანდა, რომლებიც ჭადრაკს თამაშობენ.*

მირანდა

რატომ თაღლითობთ, ბატონო ჩემო?

ფერდინანდი

სიყვარულო,
მაგას არ ვიზამ, თუნდაც მომცენ მთელი პლანეტა!

მირანდა

თუ პლანეტების ჯგუფს მოგცემენ, ღირს დაფიქრება.
მე კარგ პარტიად მივიჩნევდი.

ალონზო

და თუკი ესეც
შენი კუნძულის ხილვა არის, ჩემს საყვარელ ბიჭს,
ჩემს ერთადერთს, მეორედ ვკარგავ!

175

სებასტიანი

სასწაულია!

ფერდინანდი

ზღვა სულ გვაშინებს, მაგრამ თურმე, რა მოწყალეა.
ტყუილად ვწყევლე, უმიზეზოდ.
დაიჩოქებს ალონზოს წინაშე.

ალონზო

გახარებული
მამის დალოცვა არასოდეს არ მოგკლებოდეს.
ადექი, და თქვი, აქ როგორ მოხვდი!

180

მირანდა

საოცარია!
რამდენ ლამაზ ქმნილებას ვხედავ! კარგი ყოფილა
კაცთა მოდგმა! ალბათ ქვეყანაც დიდებულია,
სადაც ეს ხალხი უნდა ცხოვრობდეს.

პროსპერო

შენ ჯერ არ იცნობ.

ალონზო

ვისთან ერთადაც თამაშობდი, გოგო ვინ არის? 185
სამი საათი არ იქნება ალბათ, რაც იცნობ!
ნუთუ ქალღმერთი, ვინც თავიდან ჯერ აქ დაგვფანტა,
ახლა კი ისევ ერთად შეგვყარა?!

ფერდინანდი

ის მოკვდავია,
მაგრამ უკვდავმა ბედისწერამ გამომიგზავნა. 190
მას რომ ვირჩევდი, მე არ მქონდა მამის თანხმობა,
არც ის შემეძლო, მამის აზრი, რჩევა მეკითხა,
რადგან მეგონა, არ მყავდა მამა. ის არის შვილი
ამ ცნობილი მილანის მთავრის, რომლის შესახებ
ბევრი მსმენია და არ მინახავს. მისი წყალობით
უკვე მეორე სიცოცხლე მაქვს. ამ ქალბატონმა 195
მეორე მამა მაპოვნინა.

ალონზო

ამის მეორე მამა კი მე ვარ!
უცნაურად ჟღერს, მაგრამ მაინც, შვილს უნდა ვთხოვო,
რომ მაპატიოს!

პროსპერო

სერ, გაჩერდი, საკმარისია!
ნუ დავმძიმდებით მოგონებით, რომელიც უკვე
წარსულს ჩაბარდა!

გონზალო

განუწყვეტლივ ვტირი და ვტირი. 200
თან, რა ხანია, ამის თქმას ვლამობ: დიდო ღმერთებო,
მოწყალე თვალით გადმოხედეთ, დალოცეთ წყვილი.
თქვენ გვატარებდით ისეთ გზებზე, რომლებიც ბოლოს,
ამ კუნძულზე გადაიკვეთა

ალონზო

ამინ, გონზალო!

გონზალო

მილანს წაართვით თქვენ მილანი, რაკი მემკვიდრეს 205
ტახტი ელოდა ნეაპოლში! ო, გიხაროდენ!
უსაზღვრო არის ნეტარება. არ დავივიწყოთ,
ჩაწერეთ ოქროს ასოებით: რომ კლარიბელმა

ტუნისში იმად იმოგზაურა, ქმარი ეპოვა,
ხოლო მისმა ძმამ, ფერდინანდმა, ცოლი იქ ნახა, 210
სადაც ის თვითონ, დაღუპული ეგონა ყველას.
პროსპერომ ტახტი დაიბრუნა, ჩვენ ჩვენი თავი,
ჯერ რომ დავკარგეთ ამ კუნძულზე!

ალონზო

ფერდინანდს და მირანდას

მომეცით ხელი!

დე, მწუხარება, მას არასდროს არ მოკლებოდეს,
ვინც თქვენს სიხარულს არ იზიარებს.

გონზალო

ამინ და ამინ!

215

*შემოდის არიელი. უკან მოჰყვებიან კაპიტანი და ბოცმანი
განცვიფრებული სახით*

ამათ უყურე! შეხედეთ, სერ! სხვებიც გამოჩნდნენ!
აკი ვამბობდი, სახრჩობელა ვიდრე არსებობს,
ამ კაცს დახრჩობა არ უწერია. როგორ გვლანძღავდი,
ლამის გემიდან გადაგვყარე! ხმელეთზე რა გჭირს,
ენა ჩაყლაპე? ხმა ამოიღე, გვითხარი რამე. 220

ბოცმანი

კარგი ამბავი ერთი ის არის, რომ თქვენ ყველანი,
მეფეც, სხვებიც, გადარჩენილხართ. მეორე - გემი!
სამი საათის წინ გვეგონა რომ დაიღეწა,
ახლა ამაყად დგას თავისთვის. თან ისეთია,
როგორც პირველ დღეს, წამოსვლამდე.

არიელი

ჩუმად, პროსპეროს.

მე ყველაფერი

225

მოვასწარი სანამ მოვედი!

პროსპერო

ჩუმად, არიელს

ჩემი ყოჩაღი!

ალონზო

უცნაურად ჟღერს ეს ამბავი უფრო და უფრო!
იქნებ ამიხსნათ, თქვენ მითხარით, აქ როგორ მოხვდით.

ბოცმანი

თუ დავიჯერე, რომ ბოლომდე გამოვიღვიძე,
მაშინ ვეცდები! დაგვეძინა ყველას მკვდარივით, 230

ოღონდ არ ვიცი, როგორ მოხდა. და სულ ახლახანს
რადაც ხმაურმა, უცნაურმა, თან ღრიალს ჰგავდა,
ან იქნებ კივილს, ჯაჭვის ჟღარუნს თუ გაურკვეველ
ხმათა ერთობას, შიშისმომგვრელს, გამოგვაღვიძა.
მერე გემბანზე ამოვედით, უცებ რას ვხედავთ,
ეს ჩვენი კოხტა, გაწყობილი, სამეფო გემი,
გადარჩენილა. კაპიტანმა, რომ დაგვინახა,
სიხარულისგან ცეკვა დაიწყო. და იმავე წამს,
თითქოს ბურანში, უცხო ძალამ წამოგვიყვანა.
ახლა აქა ვართ.

235

არიელი

ჩუმად, პროსპეროს

ხომ კარგი იყო, მოგეწონა?

240

პროსპერო

ჩუმად, არიელს!

კარგად მუშაობ, იმსახურებ თავისუფლებას!

ალონზო

ამ ლაბირინთში ჯერ კაციშვილს არ გაუვლია.
მგონი საქმე გვაქვს ზებუნებრივ ძლიერ ძალასთან.
ორაკულს ვთხოვთ განმარტება.

პროსპერო

ბატონო ჩემო,

245

ტყუილად წვალობ, ვერ ამოხსნი, რას წარმოადგენს
ამ უცნაური მოვლენის არსი. როცა დრო მოვა,
ძალიან მალე, მე აგიხსნი (და ყველაფერი
თავის ადგილას დალაგდება), რა რატომ ხდება.
შენ კი მანამდე, გირჩევნია, გამხიარულდე,
კარგად იქნება ყველაფერი.

არიელს

მოდი, არიელ.

წამოიყვანე კალიბანი და მასთან მყოფნი.
ჯადო ახსენი.

არიელი გადის

თავს როგორ გრძნობს მეფე ბატონი?

თქვენს ამაღაში ორი მეტად უცნაური ყმაწვილი იყო.
მათი არყოფნა, როგორც ვხედავ, ვერ შეამჩნიეთ.

255

*შემოდის არიელი. შემორეკავს კალიბანს, სტეფანოს
და ტრინკულოს, მოპარული მოსასხამებით შემოსილებს.*

სტეფანო

ადამიანი სხვებზეც უნდა ფიქრობდეს, მხოლოდ

საკუთარ თავზე ვერ იზრუნებ. თანაც ბედი უნდა ყველაფერს!
Coragio, სულელო ურჩხულო, coragio!

ტრინკულო

თუ ის ინფორმაცია, რაც თვალემა გამომიგზავნეს დადასტურდა,
საინტერესო ამბები გველის!

260

კალიბანი

ო, სეტებოს! აქ რა მშვენიერი სულები შეკრებილან!
ჩემი ბატონიც საზეიმოდ გამოწყობილა! მე მგონი ახლა
უმკაცრესი სასჯელი მელის!

სეზასტიანი

ჰა, ჰა, ჰა!

ნახე, რას გვანან, ანტონიო, პატივცემულო!
ხომ არ გვეყიდა რომელიმე?

ანტონიო

აღბათ, აი ეს!

მგონი თევზია! მარკეტინკულს ჰგავს!

265

პროსპერო

გთხოვთ დააკვირდეთ ბატონებო, და თქვით, რას ხედავთ!
პატიოსანი ხალხი გგონიათ? ამ უგვან ცხოველს
დედა ისეთი ძალის მქონე გრძნეული ჰყავდა,
რომ ზღვის მოქცევა - უკუქცევას მთვარე იმისი
ბრძანებით წყვეტდა. ჯერ გამქურდა, აი, ამ სამმა,
მერე კი, მოკვლა დამიპირა, რაც, რა თქმა უნდა,
ამან დაგეგმა, ნაბიჭვარმა, ეშმაკის ფეხმა.
აქედან ორი, შენს ამაღას მიეკუთვნება.
აღბათ გეცნობა. ეს ბნელეთის მოციქული კი,
ჩემი გახლავთ!

270

275

კალიბანი

ო, რა წამებით მელის სიკვდილი!

ალონზო

ეს სტეფანოა, ჩემი ლოთი მერიქიფა.

სეზასტიანი

აქაც მთვრალია. ღვინო სად ჰქონდა?!

ალონზო

ტრინკულოს შეხედეთ, ფეხზე ძლივს დგას!

ნეტავ სასმელი აქ სად იპოვეს. რა მოგივიდა,
ასე როგორ ჩამწნილებულხარ! 280

ტრინკულო

დიახ, სწორედ ჩამწნილებული დავდივარ მას მერე, რაც თქვენ
დაგმორდით. ახლა სულ მარილებად ჩამილაგდება ძვლებში!
სამაგიეროდ, ბუზები აღარ დამეხვევია!

სეზასტიანი

რა გჭირს, სტეფანო? 285

სტეფანო

არ მომეკარო. სტეფანო არ ვარ. მე კრუნჩხვა ვარ.

პროსპერო

ეს შენ გინდოდა, კუნძულის მეფე გამხდარიყავი?!

სტეფანო

მაშინ ასეთი არ ვიქნებოდი.

ალონზო

რა უცნაური არსებაა. მსგავსი არ ვიცი! 290

პროსპერო

ეგ გაგაოცებთ ფორმითაც და, თავის ქცევითაც.
ახლა წავიდეთ ჩემს მღვიმეში. წამოიყვანეთ
თქვენი მხლებლები. ისე მიცქერ, პატიებას მთხოვ.
ჯერ შეასრულე წესიერად, რასაც გავალებ.

კალიბანი

აბა რას ვიზამ! ამიერიდან ჭკუას ვიხმარ. 295
დავიმსახურებ! მე ნამდვილი იდიოტი ვარ!
ღმერთი მეგონა. ეს კი თურმე, ლოთი ყოფილა!
ამ სულელს როგორ ვემსახურე!

პროსპერო

წადი! მომშორდი!

ალონზო

ეგ სამოსი კი, იქ დააწყვეთ, სადაც აიღეთ.

სეზასტიანი

ანუ იქ, სადაც მოიპარეთ. 300

გადიან კალიბანი, სტეფანო და ტრინკულო

პროსპერო

თქვენო უდიდებულესობავ, გეპატიჟებით
სუყველას ერთად, ამ ღარიბულ გამოქვაბულში.
გამოიძინეთ, დაისვენეთ. სულ ერთი ღამით
ჩემთან დარჩით. გპირდებით რომ (თანაც გიამბობთ
უცნაურ ამბავს), ვერ გაიგებთ, დრო როგორ გავა.
ყველაფერს წვრილად მოგიყვებით. ბევრი რამ მოხდა,
იმის შემდეგაც, ამ კუნძულზე როცა აღმოვჩნდი.
რომ გათენდება, ჩავსხდეთ გემში და, ნეაპოლისკენ!
იქ იმედია დავესწრები ჩვენი ძვირფასი,
შეყვარებული წყვილის ქორწილს. აი მერე კი,
გავემურები მილანისკენ, სადაც ვიქნები
მშვიდ მოლოდინში აღსასრულის.

305

310

ალონზო

ერთი სული მაქვს,
როდის მოვისმენ შენს საოცარ თავგადასავალს.
არ იცი, როგორ მაინტერესებს.

პროსპერო

ყველაფერს გეტყვი.
თანაც გპირდები, ზღვა იქნება ძალიან მშვიდი.
ჩვენ აფრებს გავშლით, გზას გავუდგებით. ამასობაში
ზურგის ქარიც წამოგვეწევა.

315

არიელს, ჩუმად.

დავალემა გასაგებია?
აი მერე კი, შენს სტიქიას დაუბრუნდები. გემშვიდობები!
გთხოვთ, წამობრძანდით.

ყველანი გადიან.